

# საქათველოს მოამბე

№ 1,

1 ნოემბერი. კვირეული საპოლიტიკო, სამეც. ბ. სალიტ. კურნალი 1909 წ.

## კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის საზინისათვის.

ის აზრი, რომ „კავკასია წმინდა ზარალია ხაზინისათვის“, საყოველთაოდ არის გავრცელებული მთელს რუსეთში,—რუსულ პრესასა და საზოგადოებაში. ეს შეხედულება ქვეყნარტებად მიაჩნიათ არა თუ რუსეთის რეაქციონერებს, არამედ ლიბერალ და მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებსაც. ჩვენშიაც კი ბევრს ჰგონია, რომ კავკასია მართლა ზარალს აძლევს რუსეთს და რომ კავკასიის მცხოვრებნი, ბევრ რამეში მაინც, რუსეთის ხარჯზე ვიკმაყოფილებთ მართვა-გამგეობისა და სახელმწიფოებრივს საქიროებას.

რუსეთის რეაქციონერებისაგან ხომ ყუ რთა სწენა აღარაა: ყოველი საბაბი, როგორიც უნდა იყოს იგი,—შესაფერი თუ შეუფერებელი,—იმათ შემთხვევას აძლევს ამ საგანზე ალაპარაკდნენ და ჩვენი მუქთამკამლობა წამოგვაყვედრონ. ამ „საბუთს“ ისინი მოხერხებულ არგუმენტადაც ხმარობენ ჩვენში რეფორმების შემოღებისა და მართვა-გამგეობის გაუმჯობესების წინააღმდეგ. მაგალითად, ჩვენს მხარეში მცირეა სწავლა-განათლება, გვაკლია სასწავლებლები. საკმარისია აღიძრას ლაპარაკი—მხოლოდ ლაპარაკი—ახალ სასწავლებლის გახსნის შესახებ, რომ რუსეთის რეაქციონერები და მათი ორგანოები მაშინვე გოდებას მოჰყვებიან: „კიდევ ახალი ხარჯი კავკასიაზე! განა ის არ გვეყოფა, რომ აუარებელ ფულს—რუსის გლეხის ნაამაგარ ფულს—ვყრით კავკასიაში და სარგებლობას კი არას ვიღებთ იქიდან? განა რუსი წელებზე ფებს იმიტომ იღვამს, იმიტომ მიაქვს უკანასკნელი გროში სახელწიფოს ხაზინაში, რომ ამ ფულით მთავრობამ „ინოროდცები“ არჩინოს, სასწავლებლები აუგოს და საქმელი აძლიოს?! ნეტა გონს როდის მოვალთ და როდის შევიგნებთ, რომ გვეყოფა, რაც ამდენხანს ვარჩინეთ „ინოროდცები“, და რომ ამის შემდეგ აღარ შეგვიძლიან ასე დაუზოგველად ვხარჯოთ მათზე რუსის გლეხის ფული“...

**შინაარსი:** კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის—**ფ. გონჩიხიშვილისა**, დამე, ლექსი—**კ. მაყაშვილისა**, მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობის უძველეს დროიდან—**იბ. ვართავასი**, შინაური მიმოხილვა,—ერის უფლება—**Baton**. ისა, მთის არწივი შამილი—**ბ. ფრონელისა**, მინარე ფარაჟ, ლექსი—**ი. გრიშაშვილისა**. ქართულ სამართლ ს ისტორია—**ივ. ჯავახიშვილისა**.

ერთის სიტყვით, თუ რუსეთის რეაქციონერებს დაუჯერებს ადამიანი, კავკასია რეფორმების ღირსი არ არის, არა მარტო იმიტომ რომ „ინოროდცებით“ არის დასახლებული,—რუსის პატრიოტები „ინოროდცებს“ ხომ არ სწყალობენ და არა—არამედ იმიტომაც, რომ კავკასია ხარჯებს მეტს ითხოვს რუსეთის სახელმწიფოსაგან, ვიდრე შემოსავალს იძლევა,—ტვირთად აწევს ხაზინას, ე. ი. რუსეთის გლეხობას, რომელიც ჰქმნის ხაზინის ქონებას.

სწორედ ამგვარ ჰანგზე ალაპარაკდა ტფილისშიაც ამას წინად ერთი რუსის პატრიოტი. წარსულ ნომბრის შუა რიცხვებში, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, გამარფული იყო თათბირი კავკასიაში ერობის შემოღების საქმის გამოსარკვევად. კრებაზე ზოგიერთმა წევრმა გამოსთქა აზრი, რომ ამჟამად საერობო ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს საპოლიციო დარაჯების შენახვის ხარჯები და აუცილებლად საქიროა, ეს ხარჯები ხაზინამ იკისროს, თორემ ერობა ამ ტვირთს ვერ გაუძლებსო. საქმე იმაშია, რომ ამჟამად ამიერკავკასიაში იკრიბება მცხოვრებთაგან წლიურად 5 მილიონი და 700 ათასი მან. საერობო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ ფულიდან 2 მილიონი და 361 ათასი მან. ანუ 41 პრ. პოლიციის დარაჯებზე იხარჯება. ამაში მარტო ტფილისის გუბერნიას უწევს 455 ათასი მან. მთელი საერობო ბიუჯეტი ტფილისის გუბერნიისა კი არის 1 მილიონი და 100 ათასი მანეთი. ამგვარად, ბიუჯეტის თითქმის ნახევარი პოლიციის დარაჯებზე იხარჯება. ამიტომაც საერობო კრებამ გადასწყვიტა აღიძრას შეამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ დარაჯების ხარჯი ხაზინამ გასწიოს, ხოლო ერობა ამისგან განთავისუფლებული იქნეს. ეს არ მოეწონა რუს პატრიოტების წარმომადგენელს, აგრონომს დემენტიევს, რომელიც „რუსის ხალხის კავშირის“ წევრი და „Голосъ Кавказа“-ს ხელმძღვანელი არის. ნუ დაგავიწყდებათო, სთქვა მან, რომ კავკასიაში ხაზინა ზარა-

373/1

ლობს,—მეტს ხარჯავს, ვიდრე სარგებლობას იღებს, და ამიტომ დარაჯების ხარჯის გადატანა ხაზინაზე იმის მომასწავებელი იქნება, რომ თქვენთვის ფული კოსტრომის „მუჟიკა“ უნდა იხადოსო...

ეს არის ჩვეულებრივი საბუთი რეაქციონერებისთვის, როცა რომელიმე საკითხი კავკასიის ცხოვრების გაუმჯობესებას შეეხება და ამისთვის ხაზინის ხარჯის გადიდება საჭირო ხდება. ამიტომ, მგონია, ფრიად საინტერესო უნდა იყოს იმის გამოკვლევა, თუ რამდენად მართალია ზემოაღნიშნული აზრი, ვითომ კავკასია საზარალოა რუსეთის ხაზინისათვის.

ამ საკითხის გასარკვევად ადგილობრივ მოიპოვება მხოლოდ შემდეგი მასალა: „Отчеты государственного контроля по исполнению государственной росписи и финансовых сметъ“. ამ „ანგარიშებში“ არის მოქცეული სახელმწიფოს ყველა შემოსავალი და ხარჯები, განაწილებული სხვა-და-სხვა გუბერნიებზე. მეც ამ წყაროთი ვსარგებლობ კავკასიის შემოსავლიანობის გამოსაანგარიშებლად, ხოლო როცა აქ ესა თუ ის შემოსავალი ან ხარჯი გარკვევით არა სჩანს, ვსარგებლობ სათანადო ოფიციალურ დაწესებულებიდან მიღებულ ცნობებითაც.

„ხსენებულ „ანგარიშების“ თანახმად, ამიერკავკასიაში სახელმწიფოს ჰქონია:

	სულ ხარჯი:	სულ შემოსავალი:
1897 წელს	— 54,3 მილ. მან.	45,9 მილ. მან.
1898 „	— 55,2 „ „	57,8 „ „
1899 „	— 57,6 „ „	58,— „ „
1900 „	— 61,2 „ „	65,4 „ „
1901 „	— 62,7 „ „	70,9 „ „

საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენს 59,6 მილიონს, ხოლო ხარჯი 58,2 მილიონს; რჩება ზედმეტი შემოსავალი 1,4 მილ. მანეთი.

მაგრამ აქ აღნიშნული ციფრები სისწორით არ უჩვენებს სინამდვილეს. მე ავიღე ციფრები ისე, როგორც არის მოქცეული „ანგარიშებში“. ნამდვილად-კი ამ ციფრებს შესწორება ესაჭიროება, და აი რატომ: „ანგარიშებში“ თითოეული სახელმწიფო ხარჯი იმ გუბერნიას აწერია, სადაც ხაზინიდან ფული გასულა; აგრეთვე შემოსავალიც შემოსავლად აწერია იმ გუბერნიებს, სადაც ხაზინას ფული მიუღია. მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ხარჯი ერთ გუბერნიაში არის გაწეული, მაგრამ ის ხარჯი მარტო იმ გუბერნიიდან არ ეკუთვნის; აგრეთვე ხშირად მოხდება, რომ შემოსავალი ხაზინაში შედის ერთ გუბერნიაში, ნამდვილად კი იგი სხვა გუბერნიების შემოსავლადაც არის ჩასათვლელი.

მაგალითად, ამიერკავკასიაში სახელმწიფოს საზღვარი არის. ამ საზღვარზე აუარებელი ჯარი არის თავმოყრილი და ამიტომ სახედრო ხარჯი დიდი აწერია ჩვენს მხარეს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჯარი იცავს არა მარტო ამიერკავკასიას, არამედ მთელ სახელმწიფოს. ამიტომ ამიერკავკასიას სახედრო ხარჯი უნდა დაეწეროს არა იმდენი, რამდენიც „ანგარიშებში“ არის აღნიშნული, არამედ ნაკლები,—იმდენი, რამდენიც ეკუთვნის მას მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით მთელს იმპერიაში (ნაცვლად „ანგარიშების“ 19,2 მილიონისა წელიწადში მხოლოდ 16,7 მილიონი).

ასევე შესასწორებელია ხარჯების ციფრებიც. მაგალითად, თუ „ანგარიშებს“ დაეუჯერეთ, კავკასიიდან შედის ხაზინაში წლიურად 8.2 მილ. მან. ნავთის აქციზი. ნამდვილად კი ამას აძლევს არა მარტო კავკასია, არამედ იმპერიის ყველა გუბერნიები, რომელნიც ნავთს ხმარობენ. ამიტომ ნავთის შემოსავალი კავკასიის მხრით შესაფერად შემცირებულ უნდა იქმნეს. ამგვარადვე უნდა მოვიქცეთ იმ შემოსავლის შესახებაც, რომელსაც იღებს ხაზინა შაქარზე, თამბაქოზე, სპიჩკაზე, მაგარ სასმელებზე და საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე. ჩვენში, მაგალითად, არ არის შაქრის ქარხანა, მაგრამ შაქარს ვხმარობთ და, მაშასადამე, ყიდვის დროს შაქრის გადასახადსაც ვიხდით. ჩვენში არ არის აგრეთვე სპიჩკის ფაბრიკები, მაგრამ სპიჩკას ვწვავთ და, მაშასადამე, აქციზსაც ვიხდით, და სხვ. ისეთი სტატისტიკა რომ არსებობდეს, რომელიც მოგვცემს ცნობას, იმპერიის რომელ მხარეში რამდენი ნავთი, შაქარი, მაგარი სასმელები, თამბაქო, სპიჩკა და საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი იხარჯება, მაშინ ჩვენ შეგვეძლებოდა სრულის სისწორით აღგვენიშნა სახელმწიფო შემოსავალი ამიერკავკასიაში. მაგრამ რახან ასეთი სტატისტიკა არ მოიპოვება, დაახლოვებით ანგარიშს უნდა დავკმაყოფილდეთ. ეს დაახლოვებითი ანგარიში კი შესაძლებელია მხოლოდ მსკოვრებთა შედარებითი რაოდენობის კვალობაზე მოვახდინოთ.

თუ ამგვარის საზომით ვინელმძღვანელებთ, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ამიერკავკასია შემოსავალს იძლევა 70,4 მილიონს, ხოლო ხარჯი არის 55,7 მილ. მანეთი. მაშასადამე, ზედმეტი შემოსავალი რჩება 14,7 მილიონი მანეთი წლიურად.

ცხადია, ამგვარ ციფრების შემდეგ სრულიად უსაფუძვლოა რუსის პატრიოტების წუწუნი, რომ ვითომ ამიერკავკასია ზარალის მეტს არაფერს აძლევს ხაზინასო.

აქ მოყვანილ ანგარიშის წინააღმდეგ რუსებს ერთი საფუძვლიანი საბუთის წამოყენება შეუძლიათ. როგორც ვიცით, რუსეთში ხალხი არაყს ბლომად სვამს და ამიტომ სასმელის გადასახადსაც დიდს იხდის. თქვენ-კი, როცა ამ მხრივ ამიერკავკასია რუსეთის შიდა გუბერნიებს გაუთანასწოროთ, შეუფერებლად გაადიდეთ ამიერკავკასიის შემოსავალიო,—გვეტყვიან ისინი.

თუმცა ექვს გარეშეა, რომ ჩვენში ბლომად შემოდის რუსეთიდან მაგარი სასმელები და, მაშასადამე, ჩვენი მხარეც იღებს მონაწილეობას იმ შემოსავალში, რომელსაც სასმელებზე იღებს ხაზინა თვით რუსეთში, მაგრამ ჩვენ ამას განგებ ნუ მივიღებთ მხედველობაში. ვიფიქროთ, რომ ამ მხრივ ჩვენ რუსეთს არაფერს ვაძლევთ, გარდა იმ საარყო აქციზისა, რომელსაც ადგილობრივ ვიხდით, და ვნახოთ, რა შემოსავალსა და ხარჯებს მივიღებთ ანგარიშით.

ავილოთ ამისთვის მარტო ერთი—1901 წლის „ანგარიში“. ამ წელს ამიერკავკასიაში სახელმწიფო შემოსავალი ყოფილა 70,9 მილ. მან., ხოლო ხარჯი—62,7 მილ. მან., ზედმეტი შემოსავალი—8 მილ. და 200 ათასი მან. თუ სამხედრო ხარჯს, აგრეთვე ნავთისა, სპიჩკისა, შაქრისა, თამბაქოს და დამოჭნის შემოსავალს ვიანგარიშებთ მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, ხოლო სასმელებიდან შიდა რუსეთში შემოსულ შემოსავალში ამიერკავკასიისთვის წილს სრულებით არ ჩავთვლით, მაშინ მივიღებთ შემდეგ ციფრებს: 1901 წ. ამიერკავკასიაში სახელმწიფო შემოსავალი ყოფილა ნამდვილად 70 მილ. და 100 ათასი მან., ხარჯი—61 მილ. და 500 ათასი მან., წმინდა შემოსავალი 8 მილიონი და 600 ათასი მან.

ამ ანგარიშში შემოსავალი, თუ არ შემცირებული, ყოველ შემთხვევაში გადიდებული საზომით მაინც არ არის ნაანგარიშევი; ხარჯები კი ყველა არის ჩათვლილი. არ არის მხოლოდ ჩათვლილი ის წილი, რომელიც ერგება ამიერკავკასიის სახელმწიფო ვალის წლიურ სარგებლის გასასტუმრებლად და სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებათა (ხელმწიფის სასახლე, საგარეო სამინისტრო, სახელმწიფოს კონტროლი და სხ.) ხარჯების დასაფარავად. ამიერკავკასიის წილი ყველა ამ ხარჯებში 8 მილიონს შეადგენს. ეს ხარჯი ჩვენ არ შეგვაქვს ანგარიშში, რადგან ამის სამაგიეროდ რუსეთი იღებს კავკასიიდან სხვადასხვა შემოსავალს, რომელიც ზემოაღნიშნულ ანგარიშში არაა ნაგარაუდები.

კავკასიის საზღვარზე სახელმწიფოს ჰყავს და-

რაჯები, რომელთა ხარჯი კავკასიას აქვს დაწერილი, თუმცა იგი მთელს სახელმწიფოს ეკუთვნის და არა მარტო კავკასიას.

გარდა ამისა, კავკასიაში მთავრობა შედარებით ბევრ ფულს ხარჯავს სამხედრო გზებზე, რადგან ეს საჭიროა საზღვარზე. ამის ხარჯებიც ეკუთვნის მთელს სახელმწიფოს და არა მარტო ჩვენს მხარეს. ჩვენს ანგარიშში კი ესეც არ არის ნაგარაუდები.

რუსეთიდან ჩვენს მხარეში აუარებელი საქონელი შემოდის, რადგან ადგილობრივ ქარხნებში და ფაბრიკებში არ არის. ამ საქონლის გადმოტანაში ხაზინა რუსეთში ქირას იღებს, გადახდით კი ამ ქირას საქონლის მიმღები კავკასია იხდის.

ცხრა მეათედი ჩინოვნიკობისა ჩვენში რუსები არიან. ესენი უმთავრესად მოსულნი არიან, რომელთაც ოჯახი და ნათესაობა რუსეთში ჰყავთ. რასაკვირველია, თავიანთ ჯამაგირიდან ისინი შემწეობას აძლევენ რუსეთში დარჩენილ ნათესავებს, ფულს უზზავნიან. ის ფული, რაც იმათგან იქ იგზავნება, აკლდება აქაურს სააღებ-მიცემო ბაზარს; ხოლო ემატება რუსეთის ხალხს.

აგრეთვე ის ფულიც, რომელსაც ჩინოვნიკობა არ ხარჯავს და შავი დღისთვის ინახავს, ბოლოს და ბოლოს რუსეთში მიდის, როდესაც ჩინოვნიკი სამშობლოში ბრუნდება, და, მაშასადამე, ჩვენს მხარეს ესეც აკლდება.

და, დასასრულ, განა ის კი არ არის მხედველობაში მისაღები, რომ კავკასია თავის შემოსავლით, ამოდენა რუსის ჩინოვნიკობას ცხოვრების სახსარს აძლევს და ინახავს?

ყველა ამ მოსაზრების საფუძვლით, მგონია, რომ ის წილი, რომელიც ანგარიშით ამიერ კავკასიას ეკუთვნის სახელმწიფოს ვალის სარგებელში და უმაღლეს დაწესებულებათა შენახვის ხარჯებში, ცალკე აღარ არის საანგარიშებელი—ამ წილს სავსებით გაასწორებს ის რამდენიმე საგანი, რომელიც არ აღვნიშნეთ, და რომელიც საერთო ანგარიშში აქ არის შეტანილი.

ამიტომ 8, 6 მილიონი მან. ამიერ კავკასიიდან უექველად წლიურ წმინდა მოგებად უნდა ჩითვალოს რუსეთის სახელმწიფოს ხაზინისათვის.

ფ. გოგიჩაიშვილი.





# დ ა მ ე

ლამეა. სძინავს  
 ბუნებას ცხოველს;  
 მზვიდად დაფრინავს,  
 ყველას და ყოველს  
 იხუტებს გულში  
 გრძნეული ძილი...  
 ნარნარი, ლბილი,  
 ზღაპრების მთქმელი,  
 ვით კოცნა ტკბილი,  
 ნიაფი ნელი  
 არხევს ხის ფოთლებს,  
 ცელქობს და ხუმრობს,  
 ართობს მწირ-ობლებს  
 მათ ცრემლებს უშრობს!..  
 რა გათენდება  
 ყოვლი სულდგმული  
 ფეხზე დადგება  
 დასვენებული...  
 მზე სანატრელი  
 ამოცურდება,  
 მთა-მინდორ ველი  
 ახმაურდება!..  
 და კვლავ გაისმის  
 სიმების ჟღერა,  
 ნათელ სიცოცხლის  
 მძლავრი სიმღერა!..  
 გძინავს... შენც გძინავს!..  
 ძილი ძილს არ ჰგავს,  
 მწარედ მღუპარევ  
 და სევდიანო  
 შენ, ჩემო მხარევ,  
 თვალ-ცრემლიანო!  
 ცუდ სიზმრებს ხედავ!..  
 გედაგვის სული,  
 ჰკვნესი და ჰღელავ.  
 თვალ დახუჭული!..  
 ობოლს, დატანჯულს,  
 გულსა დაქანცულს  
 ვინ გაგიგრძილებს  
 დამწვარ-დადაგულს?..  
 მუდამ ცრემლთ მფრქვეველს  
 ვინ შეგიბრალებს,  
 მაგ ლამაზ თვალებს  
 ვინ, ვინ გაგიხელს?!...

ქ. მახაშვილი.



## მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან.

### მოგზაუბრის ხანა.

#### I.

ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს მე-4 სუკ. ქრისტიანობის მიღებით იწყება ახალი ხანა ქართველების ცხოვრებაში. ამ დროიდან საქართველო თანდათან შორდება აღმოსავლეთის ზედ-გავლენას და მჭიდროდ უკავშირდება მაღალ-განათლებულ ბიზანტიას. ქრისტიანობის მიღებამდისაც საქართველო, როგორც მოწმობს ისტორია, დახლოებული იყო საბერძნეთთან.<sup>1)</sup> ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი ეს დახლოება და კავშირი უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა. მეფე მირიანმა მოიწვია საბერძნეთიდან ეფესოკობაზები და მღვდლები. ამ დროიდან შექმნილი სუკუნეები საქართველოს ეკლესიას იმყოფებოდა ჯერ კონსტანტინეპოლის და მერე ანტიოქიის პატრიარქის დამოკიდებულებაში<sup>2)</sup>. პირველი ეფესოკობაზები და მღვდლებიც საქართველოში ბერძნები იყვნენ. მაგრამ შექმნილი კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრებამ „მცხეთის ეკლესიას მიანიჭა ავტოკეფალია, ე. ი. განადა თანასწორი სხვა კათოლიკე და საპატრიარქო ეკლესიებთან.“<sup>3)</sup>

ამ დროიდან ქათალიკოსს ირჩევენ ქართველს და საქართველოს ეკლესიას თვით—დამოუკიდებლად განაგებს საქმეებს. ის არ აძლევს არავითარ ანგარიშს არც ერთ მსოფლიო პატრიარქს. მხოლოდ ხანდისხან მიმართავს მათ ისეთი საქმეების და კითხვების შესახებ, რომლებიც საჭიროებენ მსოფლიო კრებების გაწვევას და დამტკიცებას.<sup>4)</sup> საბერძნეთიდან მოსულ სამღვდლოებას თან მოჰქონდა სუკლესიო და სამღვთო წიგნები. ცხადია, რომ პირველ ხანებში ღვთის მსახურება, წირვა-ლოცვა უნდა უფილიყო ბერძნულ ენაზე. რადგანაც ქართველებმა ბერძნული არ იცოდნენ და წირვა-ლოცვას ვერ გაიგებდნენ, ამისთვის იყვნენ მთარგმნელები, რომლებიც ზეპირად უთარგმნიდნენ ქართველებს წირვა-ლოცვის წეს-რიგს და უხსნიდნენ მის მნიშვნელობას.

ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ უხერხუ-

1) იხ. Сборник матеріаловъ для описанія мѣсть и племень Кавказскихъ, ტ. IX.  
 2) იხ. მღ. ვ. ცინცაძე: „Автокефалія церкви груз.“ ტფ. 1905 და მარრის სტ. „Цер. Вѣд.“ 1907 წ. № 3.  
 3) იხ. მ. ცავარული „Грузинская церковь, свидѣтельница православія Русской церкви“, სპб. ვვ. 4.  
 4) ამის შესახებ ვრცლად იხ. ეპ. კირონიის, ლეონიდის, მარრის, ცავარლის და ხახანოვის მოხსენებანი „Церк. Вѣд.“ 1906—7 წწ.

დად გრძობდნენ თავს ქართველები. არ მოეპოვებოდათ ქართულ ენაზე თარგმნილი საეკლესიო და საღმრთო წიგნები.

ხუცური ანბანის გამოგონებამ დაჩქარა ეს ფრიად სიჭირო საქმე (თარგმნა წიგნებისა). ეს ანბანი, მასვე ხორენელის მოწმობით<sup>5)</sup> შეადგინა მეშტორცმა ვარტან ჭაუყელის დახმარებით. დ. ბაქრაძის აზრით კი, რომელიც დამყარებულია ძველი სახარების პალეოგრაფიულ შესწავლა-გამოკვლევაზე, მესროფმა (მეშტორცმა) მხოლოდ შეავსო უკვე არსებული **ახომ-თავრული** ანბანი რამდენიმე ასოთი<sup>6)</sup>. ამანარად პირველი ნაბიჯი გადადგა. ანბანი უკვე მზად იყო. მხოლოდ სიჭირო იყვნენ ისეთი მომზადებულნი პირნი, რომელთაც უნდა ეკისრნათ საეკლესიო და საღმრთო წიგნების გადათარგმნა. და აი მეფის და საუკეთესო ქართველების მეცადინეობით და მეცხებით მეხუთე საუკუნის დასაწყისში დააჩვენეს საქართველოში შეკლები ბიზანტიურ ტიპისა, რომლებშიაც ასწავლიდნენ ბერძნულს და სირიულს ენებს.<sup>7)</sup> ამ სკოლებში სწავლობდნენ და ემზადებოდნენ მასწავლებლად და მწეემსებად ქართველები, რომლებსაც უნდა ეტვირთნათ საეკლესიო და საღმრთო წიგნების თარგმნა.

სწავლის დასამთავრებლად ქართველი მოწაფეები იგზავნებოდნენ კონსტანტინებოლში, ათინაში, ალექსანდრიაში, კესარიაში, სადაც არსებობდნენ ჩინებულად მოწოდებული სასწავლებლები<sup>8)</sup>. სწორედ ამ დროს ეკუთვნის დავითისა და სტეფანეს თარგმანი საღმრთო წიგნებისა. ესენი მივიდნენ იერუსალიმში და იქ სკოლაში, რომელიც დაასრულა იყო ქართველ თავადის ტატიანის (დადიანის?) ხარჯით, შეისწავლეს ბერძნული ენა. ერეკლე II-ს მოძღვარი, სწავლული დეკანოზი ზაქარია გაბაშვილი, პრაქტულ დიადოხის თხზულების „კავშირის“ სხვა და სხვა მინაწერების შემწეობით ამტკიცებს, რომ ბერები დავითი და სტეფანე სთარგმნიდნენ წიგნებს არა მარტო ბერძნულ ენიდან, არამედ არაბულიდანაც კი. პლ. იოსელიანი „არაბული“ ენის ადგილზე გულისხმობს სირიულ ენას და ჰემიტოს თარგმანს.<sup>9)</sup> მასთანადავე აკვნათ ქართული

მწეელობისა და განათლებისა უნდა ჩაითვალოს სინას და წმინდა ადგილის (იერუსალიმის) მონასტრები, — კერძოდ წმ. საბას სავანე. აქ თარგმნებოდა და აქიდგან იგზავნებოდა საქართველოში საეკლესიო და საღმრთო წიგნები.

წმ. საბას მონასტრის (V საუკ.) დამაარსებლად სოფლიან ქართველთა მეფის ბაქარ II შვილს — მურვანისს, რომელიც ბერობაში ცნობილია ზეტრე მაიუმის სახელით (გაზელი). როგორც ამ მაიმის ცხოვრებიდან სჩანს (რომელიც შედგენილია მისი მოწაფე ზაქარიათ მიერ სირიულ ენაზე), ზეტრეს მოღვაწეობა თვალსაჩინო ეფილდა: თუმცა ის სცნოვრობდა ისეთს დროს, როდესაც სხვა და სხვა მწვალებლობა აღეფიქვბა და და აშეოთებდა ეკლესიას, მაგრამ ის არ იღებდა მონაწილეობას ამ საწმუნებოებო ბრძოლაში, რადგანაც სასიათით არ იყო მებრძოლი და პარტიული მღვდელმთავარი; ის მხოლოდ ემსახურებოდა იდეალურს ქრისტიანულ საქმეს. „ქართ. ცხოვ.“ მოთხრობით, მეფე ვახტანგი გორგასლანი გაემგზავრა პალესტინაში ქრისტეს საფლავის თაყვანსაცემად და მაშინ დახმარება აღმოუჩინა ზეტრე ივერიელისაგან აშენებულ მონასტრს. ვახტანგის ხარჯით აღაშენეს მონასტერში თავმჯდომარე სახლი და განამრავლეს რიცხვი ბერებისა, რომელთაც უნდა შეესწავლათ ბერძნული ენა და მერე ეთარგმნათ საღ. წიგნები ქართულად.

ამანარად, უკვე მე V საუკ. არსებობდა იერუსალიმში მონასტერი, რომელშიაც ბერები სთარგმნიდნენ წიგნებს ახლად აღმოჩინებულ ქართულ ეკლესიისათვის. სახელები ამ პირველ მთარგმნელებისა შენახულია მხოლოდ უგვიანეს დროინდელ ისტორიულ საბუთებში. დავით და სტეფანეს გარდა, სთარგმნიდნენ წიგნებს: აღმშენებელი საბას მონასტრისა — ზეტრე ივერი და მისი მოწაფე — სწავლული ბერი იოანე, რომელმაც ზედმიწეენით იცოდა ბერძნული და არაბული ენები. ამას ამწმებს სირიელი პატრიარქი მისეილი<sup>10)</sup>. სინას მონასტერში მე VII—VIII საუკუნებში სცნოვრობდნენ და იღვწოდნენ ქართველი მთარგმნელები: მისეილი და ესტატე<sup>11)</sup>. ამ დროს ეკუთვნის სინას პანაირის დავითის ფსალმუნები და სხვა რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც დაწერილან პალესტინაში და სინას მთაზე. ამათში ფსალმუნი როგორც ტექსტით ისე მასალოთ და წერით, მარკის სიტყვით, ნამდვილად ეკუთვნის მე-XI საუკუნეს<sup>12)</sup>.

5) „Исторія Арменіи“, წიგ. III, თავი 25.  
6) იხ. ბაქრაძე. საქართველოს ისტორია, გვ. 83—83; 156—161.  
7) იხ. ბაქრაძე. „Объ отношеніи Арм. и Грузин. къ Византіи вообще и въ X в. въ особенности“, Извл. Кавказ. общ. истор. и арх., т. I, в. I, გვ. 64  
8) იხ. „Жур. Мин. Нар. пр.“ წ. 35, გვ. 13.  
9) იხ. პრ. ცაგარელი. „Свѣд. о пом. груз. письм. вып.“ I, გვ. 61—2; პლ. იოსელიანი „Опис. древ. гор. Тиф.“, გვ. 154—155.

10) იხ. პრ. მაროი. къ житію св. Петра Маюмскаго, „Палест. сборникъ“ вып. 47, 33 VIII—IX.; დ. ბაქრაძე. „საქარ. ისტ.“, გვ. 144—155.  
11) იხ. Епис. Порфирій „Путешествіе въ синайскій монастырь въ 1845 г. спб., стр. 116, 117.  
12) იხ. ალ. ცაგარელი. „Каталогъ Груз. рукоп. монастыря св. Креста близъ Іерусалима. пал. сб., вып. 10, прил. I; პრ. მაროი. Церк. Вѣд. 1907, № 3.

მე-IX სუკ. ცნობილი არიან შემდეგი მთარგმნელები: წმ. ილარიონი სსწაულთმრქმედი, მისეილი და და ესტატე სინაელები, მიქელი, იოანე მტბუკარი და იოანე შავთელი.—**წმ. ილარიონი**(829—882). შთამომავლობით ქართველი იყო, დაიბადა კახეთში შეძლებულ და ჩინებულ აზნაურის ოჯახში. მშობლებს სურდათ, რომ მათი შვილი სსსუღაერო ზინად გამოსულიყო, ამისათვის ის ექვსის წლისა მიანარეს თავისევე სოფელში სწავლულ ბერს. ემწვილმა დიდი ნიჭი და მეტადინება გამიჩინა სწავლასში, კერძოთ სადმრთო წიგნების შესწავლასში. სუთმეტი წლის ახალგაზდა და ჯან-ღონით აღსავსე ილარიონი გამიკეთსოვა მშობლებს და მშობლიურ სოფელს, უკუ აგდა; უარტყო „სიამენი ამ სოფლისა“ და გარეჯის ერთ-ერთს გამიქვაბულში შეუდგა ღვთისადმი ღოცვა-ვედრებას. ძლიერ ჩქარა ილარიონთან შემიკრბა თერთმეტი ახალგაზდა ღვთისმმისავი. საქართველში გავრტყლდა ხმა ილარიონის მღვდლწობასზე და წმინდა ცხოვრებაზე. ამ ხმამ მიადწია რუისის ებისკოპოსადის, რომელმაც აკურთხა ილარიონი ბერ მონაზუნად. რამდენიმე ხნის შემდეგ ილარიონი წავიდა წმინდა ადგილში. ინახულა თახოთი, იერუსალიმში, ბეთლემში და წმ. საბას მონასტრში; ამ უკანასკნელში ის დარჩა შვიდ წელიწადს და რგორც მოწმობს მისი ცხოვრების დამწერი, გულმოდგინეთ მწიგნობრობდა. დაბრუნდა თუ არა სამშობლოში, ილარიონმა აღაშენა მონასტერი (76 ბერი იყო), რომელიც უზრუნველყო სსკელსიო და სადმრთო წიგნებით. საბერძნეთის იმშ. მიხეილის დროს ილარიონი კვლავ გაემგზავრა აღმოსავლეთს და დამკვიდრდა ულუმბოზე, სადაც, რგორც მოწმობს ილარიონის ცხოვრება, „ბერი ქართველი“ იყო. რამდენიმე წლის მღვდლწობის შემდეგ, ილარიონი გაემგზავრა რომში, სადაც მოკვდა ნემბრის 19, ბასილი მაკედონიანის მეფობის დროს (867—886).

რგორც ამბობენ, ილარიონი გვარათ ყოფილა დონაური.<sup>13)</sup> ამ მამის ცხოვრების სიტყვით, თუმცა ილარიონი არ იყო ფრიად განსწავლული და მეცნიერი, მაგრამ მას უყვარდა მწიგნობრობა და შეძლებისა დაგვარად შრომობდა ამ სოფელში. ღიტყვარტურული გადმოტყვა აკურთხებს მას მეტაფრასტის და სიმეონ დაუდებულის ცხოვრების თარგმნას.

იბ. ვართაგა ა.



<sup>13)</sup> იბ. ფურცელაძე. О праздн. установ. Груз. церк., 83. 77; „წუბო. სიტყვ.“, § 449.

## შინაური მიმოხილვა.

22 ოკტომბერს მოხდა ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების კრება. მაშინ, როდესაც ჩვენ ეროვნულ არსებობას ყოველ მხრიდან შიში მოელის, როდესაც იერიში იერიშზე სისტემატიურად სწარმოებს ყოველ სფერაში, და განსაკუთრებით კულტურულ არსებობაში, როცა თაობა თაობაზე ხელიდან გვეცლება, ცხადია, ყოველ შეგნებულ ქართველისათვის აღზრდის საქმე განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების მაჯა ამ ბოლო დროს ისე მოდუნდა, რომ ძალიან მაგარი გულის პატრონი უნდა იყოს აღმიანი, რომ სასოწარკვეთილებამ არ შეიპყრას. განა ეს საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი ინტერესია, როდესაც ასეთ სერიოზულ და დიდ მნიშვნელოვან საზოგადოების კრებას მხოლოდ თუთხმეტოდე კაცი ესწრება? სად არიან ის ვაჟბატონები, რომელნიც ამ რამდენიმე წლის წინედ რიხით გამოდიოდენ ესტრადაზე და მქუხარე-სიტყვებს წარმოსთქვამდენ? მიიძალენ და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ნამდვილი მუშაკი ჩუმი და უჩინარია. ის ჩუმად, თავის გულშივე პოვებს გამამხნეველ და წამქეხებელ ძალას და როგორც საერთო აღფრთოვანების დროს, ისე გულგრილობისა და საზოგადოებრივ მაჯის დაცემის დროსაც თავის მიზანს შეუჩერებლივ ემხახურება. ჩვენ სამწუხაროდ მყვირალეები ბევრი გვყავს, ხოლო მუშაკნი შეგნებულნი და საზოგადო საქმისთვის თავდადებულნი მეტად მცირედი. შემციირდა ქართველთა რიცხვი, რომელთაც საზოგადო ტკივილი პირად ტკივილად მიანდათ, მაგრამ იმედი ამ მცირედ გუნდაც კიდევ შერჩენია, რომ უკეთესი მომავალიც გვექნება. და ამ მომავალის მოლოდინში არც ჩვენი სიგლახის, ჩვენი შეცდომების გამოაშკარავებას დავერიდებით. იშვიათია, აღბად, ისეთი ქართველი, რომელსაც ტფილისი ენახოს ამ ბოლო დროს და არ დაეთვალისწინებოს ის უზარმაზარი შენობა, რომელიც დღეს ქართულ გიმნაზიას ეკუთვნის. შენობა უზარმაზარია, მაგრამ ვალი კიდევ უფრო მეტი. ჩვენ არ შევცხებით აქ ამ შენობის ისტორიას, რომელიც ათასჯერ გამეორებულა. ვიტყვით კი, რომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ჩვენი პატარა სტამბულოვების საზოგადოებრივ საქმეებში თვითნებობას, თორემ ერთ მშვენიერ დღეს ხრამში გადავცვივით. ახლა კი გვანტერესებს, თუ როგორ შევინარჩუნოთ, დავიმკვიდროთ ეს ვეებერთელა შენობა, რომ

მელიც დღეს თუ არა, ახლო მომავალში, უეჭველია, თავის დანიშნულებას გაამართლებს და სარგებლობასაც მოგვიტანს. ვისაც შენობა დაუთვალთვალა, დაგვეთანხმება, რომ ის ქართულ გიმნაზიისათვის დიდია. ორი სართული სრულიად თავისუფალია, საჭიროა, რომ თავისუფალი ნაწილი ჩვენმა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა გამოიყენონ. სხვათა შორის აქ შეუძლია თავისუფლად მოთავსდეს დეპუტატთა საკრებულო, რომელიც დღეს კერძო ბინას ქირაობს, აქ შეუძლია კარგად მოთავსდეს წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმი, სანამ უკეთესი დრო დაგვიდგებოდეს და შესაფერ საკუთარ ბინას გაუჩნდეთ ძვირფას ეროვნულ ნაშთებს. რასაკვირველია, ამით შენობას საგრძობელი ქონებრივი დახმარება არ აღმოუჩნდება, მაგრამ სამაგიეროდ მის შენარჩუნებას სადღეისოდ მეტი გასამართლებელი საბუთი ექნება. შემდეგში კი, თუ საშუალება მოგვეცა, ცოტა ფრთა გავშალეთ ჩვენ კულტურულ სარბიელზე, მაშინ ამ უზარმაზარ შენობის გამოყენებაც ადვილი იქნება.

\* \*

აქამდის ჩვენი თავადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მამულების დაგირავებაში, ახლა გაყიდვაში გაიჯიბრენ. მერე როგორ? კახეთში თ. მალხაზ ანდრონიკაშვილმა 4000 დღიური მიყიდა რუსის გლეხებს საგლეხო ბანკის შემწეობით, ახლა შუა ქართლშიც ყიდულობენ რუსის გლეხები 1400 დღიურს რეიტერის მამულს. მთავრობის აგენტების დახმარება, გადმომსაწლებელ კომისიის სამსახური, ფულით დახმარება, ყოველივე შეღავათი რუსის გლეხებს და ამასთან გახსნილი გული ჩვენი მოქეიფე ვაჟბატონებისა, რომელთა დაუდევრობას და ფლანგვას საზღვარი აღარ მიეცა! მართალია, ისინი თავს იმართლებენ, მაგრამ განა მორიელიც არ იმართლებდა თავს? როცა კუს წყალში გაყავდა, დრო უშოვა, მაინც თავისი არ დაიშალა და მოშხამვა მოუხდომა?..

\* \*

გახეთი „მომავალი“ გადმოგვეცემს, თუ რა შევიწროებას და ათასგვარ შეურაცხყოფას განიცდიან სოფელ ნიგოთის გლეხები, რომელნიც დღეს მუშაობენ სახელმწიფო ბანკში დარჩენილ მაკუტაძეებისეულ მამულზე.

ჩვენში ისეთი დრო დადგა, როცა ყოველ ჩაფარს თავის თავი ალექსანდრე მაკედონელი ჰგონია და სხვებზე განუსაზღვრელ ბატონობას მოითხოვს. რა საკვირველია, საჭიროა ყოველივე თვითნდომას და წრეს გადასულ თავგასულობას შესაფერად დახვდეს კაცი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ

სანამ ეს მამულები სახელმწიფო ბანკის ხელში იქნება, მანამდის ის ორკეცი შევიწროება, რომელსაც დღეს გლეხები განიცდიან, მათ არ ასცდება. ამიტომ მეტი გზა არ არის, უნდა გაიჭირონ, წელეზე ფეხი დაიდგან და მამული საგლეხო ბანკის შემწეობით თავის სახელზე გადაიტანონ. ეს ერთადერთი აუცილებელი გზაა და რამდენადაც ეს საქმე ადრე მოხდება, იმდენად უკეთესია, რადგან დღეს იჯარასაც აძლევენ და მამულიც სხვისია.

\* \*

მიღებულია საზოგადოთ ამა თუ იმ საუკუნის დახასიათება სხვა-და-სხვა ძლიერ მოვლენათა მიხედვით. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეს უწოდებენ ორთქლის საუკუნეს, მეცნიერების საუკუნეს და სხვა. ჩვენს ისტორიაში მიმდინარე საუკუნე ქართული ენის დევნის საუკუნე იქნება. სამშობლო ენას თვით ქართველებიც სდევნიან. ქუთაისში არსებობს კერძო გიმნაზია, რომელიც ატარებს ცნობილ მკურნალის სახელს. წარმოიდგინეთ, ამ გიმნაზიაში, სულ ქართველები მასწავლებლობენ და სწავლობენ, ქართულ ენას მარტო პირველ ოთხკლასში ასწავლიან და ისიც კვირაში ორს გაკვეთილს უთმობენ. განა ასეთი უსინდისო მოპყრობა თავის სამშობლო ენისადმი წარმოსადგენია, სადაც კი ცოტა შეგნებული და თავის ღირსების პატივის მცემელი ადამიანები მოიპოვებინ?

## პრის უფლება.

VII

სხვათა შორის, ორ უბრალო მოვლენას ვამჩნევთ, როდესაც განვიხილავთ საზოგადოებათა და მათ ურთი-ერთ შორის დამოკიდებულების ისტორიას: ერთია მისწრაფება თავის დაცვისადმი ყოველი სოც. ჯგუფისა, მეორეა განვითარება საზოგადოებათა შორის განწყობილებათა მოწესრიგებისა. როგორც ყოველი ცოცხალი ინდივიდი მიისწრაფის თავის დაცვისადმი, ისე ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი. პირველის ისტორია არის—ისტორია მისი არსებობისათვის ბრძოლისა,—მეორეს ისტორია არის—მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ისტორია. აგრეთვე როგორც ინდივიდთა შორის თანდათან იზრდება საზოგადოებრივობა, წესრიგდებიან განწყობილებანი და ამ ნიადაგზედ იზრდებიან რთულნი მოვლენანი სოციალურ ცხოვრებისა, საზოგადოებათა შორისაც საერთაშორისო სამართლის დღიდგან დასაბამისა იზრდება საზოგადოებრიობა, წესრიგდება მრავალი განწყობილება

მათ შორის, ჩნდება რთული და ფართო საერთაშორისო ცხოვრება.

ერი და სახელმწიფო უდიდესნი არიან ყველა სოციალურ ჯგუფთა შორის. სახელმწიფოთა თავის დაცვისათვის ბრძოლამ დაჰბადა უფლება მისი ხელ-უხლებლობისა. საერთაშორისო სამართლისა და ზნეობის განვითარებამ—იღვა სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა.

მაგრამ, როგორც არა ვსთქვით, ხშირად სახელმწიფო ერთა წინააღმდეგია და მათი უფლების უარ-მყოფელი, რადგანაც ერთ სახელმწიფოში შეიძლება რამდენიმე ერი იჩაგრებოდეს. ამიტომაც ერები, როგორც სახელმწიფოსაგან განსხვავებული სოციალური ინდივიდები, სწორედ მჩაგვრელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ იბრძოდნენ და საკუთარ სახელმწიფოებს იარსებდნენ. საერთაშორისო სამართალი და ზნეობა მათაც აღიარებდნენ სწორ-უფლებიან სახელმწიფოებად,—და ეს კიდევ შეტი ნაბიჯი იყო ხოლმე ისტორიაში საზოგადოებათა—საზოგადოების უმაღლესი ზნეობის განვითარებისაკენ.

ფაქტმა ერთა ბრძოლისამ დაჰბადა საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში თეორია წრისა, რომელიც არა თუ იგივე არ არის რაიცა სახელმწიფო, არამედ ხშირად წინააღმდეგი ცნებაცა; უდიდეს მეცნიერებს ჰქონდათ კამათი,—რომელი უნდა ყოფილიყო საგანი საერთაშორისო სამართლისა,—ერი თუ სახელმწიფო. რასაკვირველია ჯერ-ჯერობით უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს მომხრეა, მაგრამ პრინციპი ერის ინდივიდუალობისა, მისი უფლებისა და დაცვის აუცილებლობისა მაინც არსებობს და ბევრისგან არის აღიარებული.

საზოგადოების მოწინავე ელემენტები ყოველთვის აღიარებდნენ ხოლმე ერის უფლებას განთავისუფლებისა და განცალკევებისა, ტაშს უკრავდნენ აჯანყებულ ერებს. მეცნიერებაც იძულებული იყო ერის თეორიული საკითხი დაეყენებინა.

ესლა კი ისეთი დრო ღვება, როცა პირდაპირ უნდა აღიაროს საზოგადოებრივმა აზრმა **ერის უფლება მხოლოდ და მარტო მისი ინდივიდუალური არსებობის მიხედვით**, როგორც აღიარებულია უფლება ადამიანისა. ესლა საერთაშორისო სამართალი **ზნეობრივად** მაინც უნდა მიუახლოვდეს უბრალო სამართალსა. თუ მან აღიარა თეორიულად მაინც თანასწორობა სახელმწიფოთა, მან შემდეგ, საზოგადოებრივ აზრის გალაშქრების ზედგავლენით, თეორიულადვე, ზნეობრივადვე მაინც უნდა აღიაროს ერთა თანასწორობა. მართალია, ეს დიდი წინააღმდეგობა იქნება სახელმწიფოთა, მაგ-

რამ წინად დიდ მონარხიათა წინააღმდეგი არ იყო პრინციპი მონაკოსა და რუსეთის თანასწორობისა, მაგრამ მაინც აღიარა საერთაშორისო სამართალი? წინად განა ძლიერთა ამ ქვეყნისათა წინააღმდეგი არ იყო თანასწორობა გლეხისა და ფეოდალისა, მაგრამ მაინც აღიარა დემოკრატიულმა სამართალმა მათი თანასწორობა კანონის წინაშე?—მეცნიერება უნდა მიჰყვეს საზოგადოებრივ აზრს, თვითონაც უნდა იქონიოს გავლენა მაზედ, რომ ერის ინდივიდუალობა, არსებობა უფლება და თანაწორობა, აღიაროს უმაღლესი საერთაშორისო ზნეობისა და სამართლის ძალით. რაც შეეხება სახელმწიფოების პრეტენზიებს კი, მათი კბილის მომჭრელი უპირველეს ყოვლისა თვით ერთა თავის დაცვა, ბრძოლა და თავისუფლების მოპოვებაა. ნუ დაავიწყდებათ სახელმწიფოთა პრინციპის მატარებელ ინტერნაციონალისტებს, ვინც უნდა იყვნენ იგინი,—ბლიუნჩლის მიმდევარნი მეცნიერნი საერთაშორისო სამართლისა თუ სოციალიზმის სხვა-და-სხვა სკოლის წარმომადგენელნი,—რომ თვით თანამედროვე სახელმწიფოთა იმავე ბლიუნჩლის სიტყვით ეროვნული სულის მატარებელნი არიან, რომ იქ **ერთი ერი** ბატონობს, ერთ ერს აქვს თავის ხელში სახელმწიფო მექანიზმი და ბოროტად ხმარობს მას სხვა ერთა დასაჩაგრავად, და რომ ამ ჩაგრულ ერებსაც აქვთ ისეთივე **უფლება სახელმწიფოს შედგენისა**.

დღეს სახელმწიფო—ფორმაა ერის ორგანიზაციისა, იგი ამასთანავე მისი იარაღია შინაგან და გარეგან საჭირო სოციალურ ფუნქციათა აღსასრულებლად, და თუ ერთ ერს აქვს უფლება ასეთი იარაღით სარგებლობისა, მეორესაც აქვს,—ყველას აქვს თანასწორად,—მიუხედავად იმისა, დიდი იქნება ერი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, თეთრი კანისა თუ შავი კანისა, აზიელი თუ ევროპიელი.

ერი სოციალური ინდივიდია, მაშასადამე მას უნდა ჰქონდეს ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც კი მას შეეფერება უმაღლესი საერთაშორისო პრინციპის ძალითა. თუ ეს უფლებანი და ვალდებულებანი თანასწორობისა და თავისუფლების ნიადაგზედ არ იქმნენ დამყარებულნი, ინტერნაციონალიზმი ფუჭი სიტყვაა, უაზრო, ტყუილი და განუხორციელებელი.

**უფლება არსებობისა და ხელ-უხლებლობისა, თანასწორობა ხრული და სამართლიანი, უფლება რომელიმე ფორმის სახელმწიფოს დაარსებისა, უფლება საზოგადოებათა საზოგადოების წინაშე სამართლის პოვნისა და თანასწორი სამართლიანი ვალდებულება მის წინაშე,—აი ერის უფლება!**



105

ვინც ამას უარ-ჰყოფს,—იგი ინტერნაციონალისტი არ არის, იგი ნებისთ თუ უნებლიეთ სახელმწიფოთა შორისო სამართლის თაყვანისმცემელია, ხელის შემწყობი უსამართლობისა და შოვინისტი დიდ სახელმწიფოთა, უარ-მყოფელი საერთაშორისო სამართლისა. ის ადამიანები კი, რომელნიც ამ პრინციპებით დაიცავენ ერის უფლებას, ნამდვილ ინტერნაციონალიზმს ემსახურებიან. ღვაწლი მათი დიდ იქნება მამავალ საერთაშორისო ძმობის განმტკიცებისათვის. პარიზში რომ საზოგადოება დაარსდა ერის უფლების დაცვისა, ვერასოდეს ვერ იხეირებს, თუ ნათლად და მკაფიოდ არ განსაზღვრა უფლება ერისა და მართო ზოგად ფრაზებით დაკმაყოფილდა—ენას ნურავის წაართმევთ, სარწმუნოებას ნურავის შეუღახავთო და სხვ.—საჭიროა მთელს მოაზრე საზოგადოებაში მოეფინოს მტკიცე და ნათელი აზრი ერის ზნეობრივი არსებობისა და ხელ-უხლებელ უფლებათა შესახებ, როგორც საფრანგეთის რევოლიუციამ მოჰფინა მთელს კაცობრიობას აზრი ადამიანისა და მოქალაქის უფლებისა, და მაშინ დიადი აზრიც დასად ნაყოფს გამოიღებს. საკვირველია, „ინტერნაციონალის“ ერთი უდიდეს მისისიათაგანი ეს იყო სწორედ, თვით მისი სახელწოდებიდან ლოლიკურად გამომდინარეობს დიადი აზრი ერის უფლებისა, და მან კი ამ მხრით ვერავითარი ნაყოფი ვერ მოიტანა. პირიქით,—სულ არია ცნება ერისა და საერთაშორისო სოლიდარობისა, რადაც მკვდარი მეტაფიზიკური კოსმოპოლიტიზმი ან უკიდურესი შოვინიზმი შეჰქმნა ინტერნაციონალიზმის მაგივრად და ისე შეისისხლხორცა მრავლის უმრავლესმა სოციალისტმა ერთიცა და მეორეცა, რომ ძნელია ესლა მათი მორჯულება და მტკიცე და ნამდვილ ინტერნაციონალიზმის ნიადაგზედ დაყენება. დიახ, სწორედ ეს ორი სრულიად ურთი-ერთის მოწინააღმდეგე ცნება გამოვიდა „ინტერნაციონალის“ ინტერნაციონალიზმიდან (სხვა დიდ და მართალ იდეათა შორის, რასაკვირველია),—კოსმოპოლიტიზმი ზე შოვინიზმი, და ეს ნათლად ამტკიცებს, რომ წინადაც სათავეში ნათელი წარმოდგენა სრულიად არა ჰქონათ „საერთაშორისოზედ“. შეიძლება გვითხრან,—როგორ, თქვენ ერის უპირველეს უფლებად აღიარებთ სახელმწიფო ორგანიზაციის მოწყობას, მაშასადამე ყველა ერი სუვერენი უნდა იყოსო?—დიახ, იდეალურ საერთაშორისო სამართლის თვალთსაზრისით ყველა ერს აქვს უფლება სუვერენობისა. თუ თანასწორობა საფუძველია სამართლისა და საერთაშორისო სოლიდარობისა, ან ყველას სუვერენობა, ან არავის!—ამას გვეუბნება უმაღ-

ლესი ზნეობა და სამართალი საზოგადოებათა საზოგადოებისა, როგორც სამართალი და ზნეობა უბრალო სამართლისა გვეუბნება ინდივიდის თანასწორობასა და სუვერენობას უბრალო საზოგადოებაში.—რაც შეეხება კონკრეტულ ერებს თანამედროვე სახელმწიფოებში არსებულთ, არავინ არ ამბობს—აიღეთ და ყველას დაურიგეთ სუვერენობაო. სუვერენობა მხოლოდ იდეალია, იგი აღიარებული უნდა იყოს სამართლისაგან და ზნეობისაგან, მოწინავე აზრისაგან, და როდესაც ერი მისწრაფვის ამ იდეალისადმი,—სამართალმა მას დახმარება უნდა გაუწიოს, მოწინავე აზრმა ტაში უნდა დაუკრას, სოციალიზმმა უნდა გაიხაროს, რომ ერთი ნაბიჯი კიდევ წარვსდგით წინ ინტერნაციონალისაკენ, დღეს კი წინააღმდეგ ვხედავთ! ნახევრად ველური საერთაშორისო სამართალი, მოუმწიფებელი საერთაშორისო ზნეობა და ნახევრად—ბარბაროსული სოციალიზმი ამაზედ ხშირად ლაპარაკსაც გვიშლიან.—თორემ, განვიმეორებთ, კონკრეტულად რამდენია ისეთი ერი, ისეთი ხალხი, რომელთა სუვერენობა შეუძლებელია, თუ გინდ იმიტომაც რომ ტერიტორია არა აქვსთ. გარდა ამისა თანამედროვე სახელმწიფოთა ფორმა მართო სუვერენული არ არის. ამ მხრითაც შესაძლებელია სახელმწიფოთა კლასიფიკაცია: არიან სახელმწიფოანი სუვერენი, სახელმწიფოანი ნახევრად—სუვერენი, სახელმწიფოანი ვასალნი, სახელმწიფოანი პროტექტორატის ქვეშე მყოფნი,—სახელმწიფოანი მუდმივ ნეიტრალიტეტის მქონენი და სხვ. თანამედროვე მომქმედი საერთაშორისო სამართალი აწესრიგებს ყველა მათ უფლებათა და ვალდებულებათა. აგრეთვე თანამედროვე დიდი სახელმწიფოები თითქმის ერთ პატარა საერთაშორისო საზოგადოებას წარმოადგენენ და იქ ავტონომიები და მფლობელობანი ან სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებებით, ან შეუძლიანთ რომ ისარგებლონ, მსგავსად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, საზოგადოებრივობის ბევრ სფეროში. და რომ სამართლიანი სამართალი მართლაც სადმე იყოს, არა თუ ტერიტორიის მქონე ერთა, არამედ გაბნეულ ერთა უფლებათა სრული დაცვაც შეიძლებოდა,—მათთვის მინიჭება მრავალ „სახელმწიფო“ ფუნქციათა. მაგრამ, განვიმეორებთ, იდეალი ერის უფლებისა საზოგადოდ არის მისი სუვერენობა და შემდეგ მის სურვილზედ და მისი თანასწორის სურვილზედ დამოკიდებული იმ საერთაშორისო კავშირის განმტკიცება, რომელიც მათთვის ხელსაყრელი ან აუცილებელი იქნება.

აქ არ შემიძლია გაკვირით არ შევეხო ერთ

106

სოციალისტ ინტერნაციონალისტს, დეპუტატ კარლო ჩხეიძეს. — **Batou**-ს ჰგონიაო, სწერდა იგი ამას წინად, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მართლაც აუცილებელია ერისთვისო. რამდენი პოლიტიკურად თავისუფალი ერი დაღუპულა ისტორიაშიო და რამდენი დამონებული გადარჩენილაო. თვით რუსეთი, დღეს, მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობისა, უცხო კაპიტალის საექსპლოატაციო საგნად გამხდარა, უმოქმედობით გაყინულაო. მაშასადამე პოლიტიკურად დამოუკიდებელ ერებს სრულიადაც არა აქვსთ მეტი ინიციატივა დამონებულებზე და ერისთვისაც საზოგადოდ არ არის ისე საჭირო დამოუკიდებლობაო! — აი შედეგები ულოლიკობისა. — ერთ დროს ყველანი მოგვკვდებით, ჩვენ, ინდივიდები, მაშასადამე მონობა ინდივიდისა არ არის მაინცა და მაინც აუტანელი, — ხომ მაინც მოგვკვდებით. აი კ. ჩ-ძის ფილოსოფია. მე კი გგონია ერთი დღის თავისუფლება სჯობია ასის წლის მონობასა. — ისტორიაში ბევრი ხალხი გამქრალა მიუხედავად პოლიტიკური თავისუფლებისა, მაგრამ აბა ერთი იანგარიშეთ, რამდენი გამქრალა სწორედ პოლიტიკური მონობისაგან? — აუარებელი. ბერძნები განქრენ, მაგრამ სპარსელების ხელში რომ ყოფილყვნენ მართლის ბრძოლის შემდეგ — ისე განქრებოდნენ, რომ ვერაფერსაც ვერ დაგვიტოვებდნენ შემკვიდრებებს, და მებრვე, — დაუსრულებლივ შეგვიძლია ასეთა მაგალითების მოყვანა. — რუსეთი უმოქმედობაშია გაყინული, მაგრამ პეტერბურგში რომ პოლონელები იჯდნენ, ან გერმანელები, კიდევ უფრო გაიყინებოდნენ. რაც თუ გინდნაკლებ ინიციატივას იჩენდეს დამოუკიდებელი ერი, მერე რუსეთის ტოლა ერი, მას მაინც ათასნაირი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ფუნქციები აქვს აღსასრულებელი და ასრულებს კიდევ — მეტად, ვიდრე მონობაში შეასრულებდა. გარდა ამისა, სწორედ ამ გაყინულებას არ ებრძვის მთელი მოწინავე რუსეთი, და იმედიც აქვს, რომ გაივლის სულ რამდენიმე წელიწადი, და რუსეთის განახლებული ცხოვრება აყვავდება, ფრთას გაშლის, მთელს ქვეყანას განაცვიფრებს, სწორედ პოლიტიკური დამოუკიდებლობით, სიძლიერით. — ჩვენ კი, მონებმა, რამოდენიმე წელი უნდა ვიცადოთ, მეტი არა?.. არ მინდოდა ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ ანბანური ჭეშმარიტებაც კი საკამათოთ მიაჩნიათ ჩვენ ბრძენ კანონმდებელთაც კი.

საერთოდ ცოტაა სერიოზული არგუმენტი ერის უფლების წინააღმდეგ. ვერავითარი უმაღლესი მოსაზრებით ვერ დასთურგნავ ამ უფლებასა, თუ არ ძალითა, მაგრამ იდეა მისი რჩება, და

მას ვერარა სძლევს. სუსტია და უაზრო მის წინააღმდეგ უტოპიური იდეალი კოსმოპოლიტიზმისა. სუსტი და უძლურია აგრეთვე იდეა სახელმწიფოსი, თუმცა ძლიერი იარაღი მის წინააღმდეგ. ერი ინდივიდია, და მაშასადამე ვერც მისი სიპატარავის მიხედვით წაართმევენ მას უფლებასა, რადგანაც ინდივიდი ერთი და იგივე უფლების მქონეა, დიდი თუ პატარა. არც ის არის სამართალი, — კაცობრიობის სახელით პატარა ერებს რომ ზიზლით იხსენიებენ, — კაცობრიობის წინაშე რა მიგიძღვისთო. ჯერ ერთი კაცობრიობა არ არსებობს, როგორც პატრიარხი, თავის შვილებს, ერებს რომ ასაჩუქრებდეს და სჯიდეს ღვაწლთა და ცოდვათა მიხედვით. პირიქით, იგი ერთაგან შესდგება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მომავალში უნდა შესდგეს. მეორე — პატარა ერებს მიუძღვისთ დიდი ღვაწლი ამ „პატრიარქის“ წინაშეც. ელლადა პატარა იყო, აღმოსავლეთის დესპოტიები კი დიდი — და რომლის ღვაწლი უფრო დიდია? იაპონია პატარაა და ჩინეთი დიდი — რომლის ღვაწლი უფრო დიდია? რუსეთი დიდი — იტალია კი მასთან შედარებით პატარაა? — რომლის ღვაწლი უფრო დიდი ყოფილა და არის? — ჩვენ ამითი ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ პატარა სჯობია დიდსაო, მაგრამ ისიც ტყუილია, თითქოს სიდიდით რამე განიზომებოდეს. ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები მართალია, — ერის ღირსება ისე არ განიზომება სიდიდით, როგორც ადამიანისა მისი სიმაღლითაო. მართლაც, მაშინ ყველა აყლაყულა ხომ დიდი ვინმე იქნებოდა! — ერთი ფრანგის სოციოლოგი ადოლფ კოსტი იმასაც კი ამტკიცებს, რომ გენიოსი ვყელგან იზადება, არ ვიცით მისი დაბადების კანონებიო; პატარა ერთა შორის სწორედ უფრო ხშირადაც იზადებოდა ისტორიაში გენიოსები, ვიდრე დიდთა შორის. — მაგრამ რა, — კიდევ ვიტყვი, განა ეს არის უფლების განმსაზღვრელი? განა პატარა კაცს საზოგადოებაში უფლება არა აქვს? თუ აქვს უფლება? — სამართალი იმას კი არ დასდევს — გენიოსია, ტალანტია, თუ სხვა რამ ისე ესე თუ ის კაცი, — სამართალი ყველასათვის ერთნაირად მოქმედებს! — პატარა კაცსაც აქვს ამასთანავე თავისი სიამაყე, თავისი სიხარული, თავისი კმაყოფილება, თავისი სულიერი და გონებრივი ცხოვრება. ხელი არავის აქვს მის სიპატარავესთან, — იგი სცხოვრობს თავისი ინდივიდუალური სიცოცხლით. საზოგადოების სამართალი მას აღიარებს, როგორც ინდივიდს, და არა ზომავს მისი სიცოცხლის სიპატარავესა და სიდიდეს. ხელი არავის აქვს არც მის სიკვდილთან, მალე მოკვდება იგი თუ გვიან. სამართალს არ შეეხება

მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა. მსგავსადვე ვის რა საქმე აქვს—პატარაა ერი, ღარიბია იგი, გაღვაგრების გზაზედ დამდგარი, მომაკვდავი თუ სხვა რამ. იგი სოციალური ინდივიდია, საერთაშორისო სამართალმა მისი სიცოცხლე, მისი არსებობა, მისი თავისუფლება უნდა დაიცვას. თუ სამართალი იდეალურია,—კიდევაც უნდა იზრუნოს მის ხანგრძლივობაზედ,—ჩვენ კი სწორედ მის სისუსტესა და ნაკლს გვიყენებენ არგუმენტებად მის უფლებათა წინააღმდეგ!

ერი ათასგვარ და რთულ ისტორიულ პროცესისაგან შობილა, გაზრდილა, საუკუნოებით ვინ იცის რამდენი ვაი-ვაგლახი გამოუვლია, შეუმუშავებია ორიგინალური სოციალური ცხოვრება, გამხლარა თვითშემგნებ სოციალურ ინდივიდად,—მასაც აქვს თავისი სიხარული და სულის კვეთება, თავისი იდეალები, თავისი მიზნები, მასაც აქვს იმედი ხანგრძლივი ცხოვრებისა და იბრძვის ამ ხანგრძლივ ცხოვრებისათვის,—და თუ იგი მეორეზედ ნაკლებია, უღარიბესი, უფრო სუსტი და დაავადებული,—ეს არავის უფლებას არ აძლევს გამოიცილოს იგი სამართლის სფერიდან და პრინციპიალურადაც კი უარ-ჰყოს მისი არსებობის უფლება რაღაც კაცობრიობის სახელითა და მის საკეთილდღეოდ.

ღიას, როგორც საზოგადოებაში არსებობს დღეს უსრული სამართალი და მთელი სოციალური მოძრაობა იქითკენ არის მიმართული, რომ ეს უსრული სამართალი სრულ-ჰყოს, ათასჯერ მეტად თანამედროვე სამართალი საზოგადოებათა საზოგადოებისა უსრულია და ჩვენც მის სრულ-საყოფელად არა ნაკლები ბრძოლა გვმართებს.—თუ დღეს უბრალო საზოგადოებაში ადამიანის უფლების დათრგუნვა აღელვებს ჩვენ სინიღისსა, არასჯერ მეტად უნდა აგვადელვოს ერის უფლების დარღვევამ, რომელიც მილიონ ხალხისაგან შესდგება. თუ დღეს ინდივიდის სუვერენიტეტი და თანასწორობა გავვიხდია იდეალად, მსგავსადაც ერის სუვერენიტეტი და თანასწორობა უნდა იყოს საზოგადოებათა საზოგადოების ზნეობისა და სამართლის იდეალად. მხოლოდ შეუგნებელნი და სამართლის ფილისტერები, რომელნიც არ აღმაღლებულან საერთაშორისო ზნეობისა და სამართლის იდეამდე, უარ-ჰყოფენ ამასა და ბევრნი არიან ასეთნი როგორც სოციალისტ ისე „ბურჟუაზიულ“ მოაზრეთა შორისაც! საკვირველია...

ერი ჩვენთვის სულია, სულიერი ოჯახი, სულიერი პრინციპი, იგი ისტორიული ინდივიდულობააო, სტჟეა რენანმა.—მაშ თუ სულია, ოჯახი, სულიერი პრინციპი, ისტორიული ინდივიდულობა,

როგორც ამბობდა ეს ფილოსოფოსი,—ასეთს ოჯახს, ასეთს სულსა, ასეთს ინდივიდულობას უფლება არ სჭირდება,—უფლება უზენაესი, რომელიც სუვერენობით უნდა გამოიხატოს, ან უნდა მისწრაფოდეს სუვერენობისაკენ? და რაღაი ამ აუცილებელსა და სამართლიან პრინციპს აღვიარებთ, რასაკვირველია ყოველი მისი უარ-მყოფელი, ყოველი დამრღვეველი საერთაშორისო პირობათა და მომტყუებელი ერთა, ან ყოველი განმამართლებელი ასეთ მოტყუებათა დასაგმობი არ უნდა იყოს ჩვენ მიერ აღიარებულ უზენაეს საერთაშორისო ზნეობისა და სამართლის თვალთახედვით!..

ყველა ერისათვის ჭეშმარიტია ეს პრინციპი, ყველა ერი თანასწორი უნდა იყოს, მაშასადამე ქართველი ერიც არ უნდა იყოს მათ შორის განწირული ან საერთაშორისო სამართლის მიერ რაღაც ბუშად აღიარებული. მივხედოთ მასაც შემდეგ წერილში და ამით დავასრულოთ ჩვენი ბაასი.

Baton.

## მთის არწივი შამილი

ისტორიული ამბავი.

### II

შამილი დაიბადა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულეებში, მეისტორიე ს. ს. ესაძის სიტყვით—1798 წელს, ხოლო სხვა წყარონი უჩვენებენ დაბადების წელიწადად 1797, ან 1799-ს. ეს ის დრო იყო, როდესაც თავისუფალ საქართველოს თავისუფალ არსებობის დღენი ილეოდა და დარიალის დახშული კარი იღებოდა ქართველ მეფის ხელით ვითომდა იმ იმედით, რომ ჯვარი ქრისტესი საქართველის დროს კვლავ ამოჰქოლავდა ყურთამდე დაღებულ დარიალს. ეს ის დრო იყო, როდესაც პატრი ნიკოლა თამამად და გულწრფელად მოახსენებდა თავის მწყალობელ მეფე გიორგი XIII-ს—რუსის დალაბანდის ბრახუნი ნიშანია საქართველოს თვითარსებობის დასასრულისაო.

ამიერ-კავკასიის ერთს უძველეს ნაწილს—საქართველოს პოლიტიკური ტანი რომ ერღვევოდა და ჩინჩხვარივით იფუშებოდა ძველი აგებულება სახელმწიფოსი დალაბანდის ბრახუნის მოძახილზე, სწორედ ამ ტრადიკულ დრო-ჟამს, საქართველოს აღმოსავლეთით, დაღესტნის მიუვალ მთებსა და კლდეთა შორის გაჩნდა ყრმა, რომელსაც თითქოს განგება ავალებდა საქართველოს მეფეთა შემკვიდრებას. რაკი ბაგრატიონთ და ბარმა ველარ



შესძლოს მაღლა ეფრიაღებინათ თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობის დროშა, მისი პატრონობა და გაძლოლა იმავე განგებამ გადაულოცა მთას, იმ მთას, რომელსაც ჯერ რიგიანად არ ეწვინია, თუ რა ხილი იყო სრული პოლიტიკური და სახელმწიფო ცხოვრება.

ჯერ ისევ სიკაბუკეში, თვის საყვარელ მეგობარს და მასწავლებელს კაზი-მოლას რომ ახლდა, შამილმა გამოიჩინა შესანიშნავი ნიჭი წვრილ-წვრილ ტომთა შეწყობა—შეკოწიწებისა. გონიერი ყმაწვილი ანაზღუფლად მიხვდა, თუ რისთვის უცემდა მთას მაჯა, და რაკი შეიგნო და შეითვისა მთიულის გულის დარდი და ვარამი, თამამად გამოაცხადა, საერთო მტერი რუსობაა, ესაა შავი ნისლივით რომ ედება კავკასიონის ქედსა, მის კალთატოტებს და თუ თავისუფალი არსებობა გვწადიან, კორიანტლად უნდა გადავიქცეთ ნისლის გასაფანტავადო. ამ გვარად შამილმა მტერსა და მოკეთეს საერთო საქმე გაუჩინა.

შამილი გაიმსქვალა და გაიტაცა მართვამეგობის იმ წესმა, რომელიც მონათლულია ცენტრალიზმის სახელით და რომლის მართო ერთი სახელი დღესაც ბევრს ათრობს და ატორტმანებს, თითქოს ბანგი დაულევიანო. მოკლევ შედარებით რომ შეიძლებოდეს შამილის მისწრაფება—სურვილის დასურათება, გაგებდავთ და ვიტყვი, რომ შამილი ადგა იმავე გზას, რა გზითაც დადიოდა დიდება საქართველოს ისტორიისა, მეფე დავით აღმაშენებელი.

რაკი შამილმა ნათლად და მკაფიოდ გაითვალისწინა მომავალი ასპარეზი, რაკი დარწმუნდა რომ გამარჯვებისათვის საჭიროა ერთის კაცის ბატონობა და ბრძანების გაცემა ერთის ცენტრიდან, აღარას ერიდებოდა იდეალის განსახორციელებლად. მთის გაბნეული ტომნი, უფრო კი ჩაჩანნი და ავარელნი ისე შეკრა და შეკბოჯა შამილმა, კაცს ეგონებოდა, დულაბი გადაუსხამს, ან და რკინის სალტები მოუქერია ალთასა და ბალთისაკენ მაყურებელ მთიულეებისთვისაო.

უპირველესი და უძლიერესი დულაბი და სალტა, რასაკვირველია, იყო სარწმუნოება და რჯულისი მაჰმადისა. ამას მოჰყვა შარიატი, რომელსაც სრულიად უნდა დაეთრუგენა და განედევნა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებიდან ალათი და ჩვეულება. ჭკვიანი და გონიერი ადმინისტრატორი შამილი ამასაც არ სჯერდებოდა და ათას სხვა ღონესა და ხერხს ხმარობდა, რომ თავისი გაეყვანა. მაგალითად დიდად უწყობდა ხელს შერეულ ქორწინებას და აქებდა ახალგაზდობას საცოლო შორეულ

ტომიდან მოეყვანა: ასეთის ქორწინების წყალობით დიდად მტკიცდებოდა ნათესავობა, მეგობრობა, მეზობლობა და სიყვარული დაშორებულ ტომთა შორის.

რუსებთან განუწყვეტელ ომიანობის გამო დიდალი ვაჟკაცობა წყდებოდა. ავარია და საჩაჩრო სწორედ რომ აიესო ქვრივ-ობრად დარჩენილ დედა-კაცებით. გასათხოვარი ქალები საქმროებს ველარ შოულობდნენ. ქალწულთა და ქვრივთა გოდებამ და დრტვინვამ გააყრუა დადესტნის ხევ-ხუენი და სოფელნი. საჭირო შეიქმნა მალამოს გამოძებნა მომავალ აჯანყების ჩასაქრობად, რადგან წინასწარი ნიშნები ყველას თვალში ეჩხირებოდა. შამილმა ამ გაჭირვებასაც ადვილად დაახწია თავი. სასტიკად უბრძანა ნაიბებს—დრო გამოშვებით შეკრიბეთ ხოლმე ქალწულნი და ქვრივნი წინდაწინ გამოცხადებულ სოფლებში და ათქმევიენტ, ვის ვინა ჰსურს ქმრად, სულ ერთია როგორი იქნებოდა საქმრო, ცოლიანი თუ უცოლო. მამაკაცებს არაფრად ექაშნიკათ ასეთი ბრძანება და ძალით ცოლების შერთვა, მაგრამ ურჩობას ვერავინ ჰბედავდა. გაჯიუტებული ვაჟკაცი ცოცხალი ვერ გადურჩებოდა შამილის მრისხანებას და წყრომას. პირველად დედაკაცებსაც ეუცხოვათ ეს სასტიკი ბრძანება, რადგან ქალი მუდამ ქალია და ჩვეულებრივი კდემა-მოსილობა ხელს უშლიდა დაესახელებინა საქმრო საჯაროდ წინაშე ქვეყნისა და შეკრიბილ თემისა, მაგრამ მალე შეეჩვივნენ ახალს წესს და აღარ თავილობდნენ საქმროების დასახელებას და არჩევას.

ასეთის დროსა და გარემოების შეფარდებულის განკარგულებით შამილმა უცბად ჩააქრო იქვე სათავეში ქალთა გულში დაგუბებული უკმაყოფილება და მშვენიერი სქესი დადესტნისა თვის ერთგულ მომხრეებად გადააქცია. მადლობელმა ქალებმაც ბევრჯელ დაუმტკიცეს იმამს თავისი გზობანი და სიყვარული. 1840 წელს რუსებს რომ აუჯანყდა თითქმის დაწყნარებული საჩაჩრო, ეს სულ ჩაჩან ქალების უნარი და მამულიშვილობის ბრალი იყო.

ჭკვიანი შამილი კარგად ხედავდა ძალად ქორწინების უხერხულობას, მაგრამ რა ვუყოთ, გარემოება ასეთია და ბედს უნდა დავმორჩილდეთო. განა თვით განათლებულნი ეგროპელნი ყველანი თავისის ნება-სურვილით ქორწინდებიანო? განა ცოტაა მათში ისეთნი, რომ ცოლს ირთვენ დედამამის ბრძანებით, ან სხვა რაიმე ანგარიშით, სადაც სიყვარულს სრულიად ადგილი არა აქვსო? დასავიწყარი არც ისაა, რომ მაჰმადის რჯულის მიმდევართა შორის ძალად გათხოვება ისე არაა დასაგ-

მობი, როგორც ქრისტიანეთა შორის, რადგან იქ განქორწინება ძლიერ ადვილია. თუ მეუღლენი ვერ შეეგუებოდნენ ერთმანეთს, ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეუშლიდა ხელს გაყრას და ამ გვარად აღარ მოუწამლავდნენ ერთმანეთს სიცოცხლეს უსიყვარულო და დაობებულ ცხოვრებით ერთს სარცეულზე და ერთ ჭერ ქვეშ.

დიდი რუსეთი და მწირი დაღესტანი საქიდაოდ რომ გავიდნენ და, როგორც ეტყობოდათ, პირის კოცნას არ აპირებდნენ, ადამიანს ზღაპრული სურათი გადაეშალა თვალწინ. ჩრდილოეთიდან ბუმბერაზი, ასთავიანი ბაყ-ბაყ დღვი მოალაჯუნებდა ბარკლებს, ხოლო სამხრეთიდან ეგებებოდა, მართალია, ქურციკივით მარდი, მაგრამ მქლე და სუსტი მთიული; აბა სად გოლიათი და სად მწყემსი! საკვირველი დღესაც ისაა, როგორ გაუძლო გოლიათს მწყემსმა მთელი ნახევარი საუკუნე და პირველსავე შეტაკებაზე როგორ არ გაწყდა წელში მთიული!

მტერი შამილისა ძრიელი, მრავალ-ერიანი და მდიდარი იყო. ამასთან რუსეთს შეეძლო გამოეყვანა შამილის წინააღმდეგ ევროპიულად მოწყობილი და სასტიკის დისციპლინით შეკრულ შებოჭილი ჯარი. სურსათი და სამხედრო მასალა საზრუნავი აგრე რიგად არა ჰქონდა რუსის მხედრობას. სურსათისა და ტყვია-წამლისათვის ზრუნავდა ცალკე დაწესებულება. სულ სხვა იყო შამილის საქმე: ჯარის-კაცი შამილისა მეომარი ხომ იყო და იყო, სასმელ-საქმელზედაც თითონ უნდა ეზრუნა. ტყვია-წამალი, იარაღი და ცხენი ყველაფერი მისი საზრუნავი და თავშისაცემი იყო; შამილის მხედრობა უფრო საერო მილიციას წააგავდა ვიდრე წინააღმდეგ შემუშავებულ წესსა და რიგზე გაწვრთნილ ჯარსა. განსაკუთრებით დიდ შრომასა და ზრუნვას თხოულობდა ცხენოსანი ჯარი.

დაღესტანი და საჩაჩნო შამილმა დაანაწილა ათას-ათას კომლიან სანაიბოდ, რომელთაც განაგებდნენ ნაიბნი. თექვსმეტის წლიდან მოკიდებული სამოც წლამდე თვითოეული მკვიდრი მოვალე იყო ჯარში ემსახურნა. თოფი, დამბაჩა და ხმალი ყველა მეომარს საკუთარი უნდა ჰქონოდა. შეძლებული მეომარი ცხენით გადიოდა ჯარში და უკეთუ თვითონ ვერ წავიდოდა სალაშქროდ ავადმყოფობისა, ან კრილობის გამო, ცხენი სხვისათვის უნდა ეთხოვებინა. მეომარს საგზალი შინიდან მიჰქონდა, ხოლო თუ დიდხანს დარჩებოდა ლაშქარში, მაშინ იოლად მიდიოდა რეკვიზიციის დახმარებით, ესე იგი ძალით ართმევდა ნუგზალს იმ სოფლებს, სადაც ჯარის ლაშქარი იკრიბებოდა, ან მოქმედებდა.

შამილის დროს მთელი საჩაჩნო და დაღესტანი ერთს თვალუწვდენელ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდნენ. ანკი რა უნდა ექნათ, ასე რომ არ მოქცეულიყვნენ. რუსეთი ყოველის მხრიდან აწვებოდა მთას და ცხოვრების საღსარს ნელ-ნელა უსპობდა. რაოდენ ნაბიჯსაც კი წინ გადასდგამდა რუსეთი, იმდენს ან სოფელს (სტანიცას) გამოსქიმავდა და ავსებდა ყაზახებით, ან ციხე-სიმაგრეს აშენებდა. მთიულების ჩამორთმეული სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები ეძლეოდა სტანიცის ყაზახობას, ხოლო მათი პატრონ-ბატონი მკვიდრი მთიული ულუკმაპუროდ რჩებოდა და უკან-უკან იწევდა მთის სიღრმესა და მიუვალ ხეობებში. რამდენსაც უკან იხევდა მთიული, იმდენად უფრო უძნელდებოდა ცხოვრება და მაშასადამე იზრდებოდა და მატულობდა მძულვარება რუსებისადმი.

ბოლოს საქმე იქამდისინ მივიდა, რომ რუსის მხედრობამ და ყაზახობამ სრულიად ჩაუკეტეს ხეობებიდან გამოსასვლელი გზები ბარში. ვიდრე რუსეთი მარტო ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან აწვებოდა მთას, კიდევ იყო საღსარი განძრვისა და მოქმედებისა, ხოლო როცა რუსეთმა დაიმკვიდრა ყირიმი, მდინარე ყუბანის შესართავი და ძირობანი და საქართველო, კავკასიის უღელ-ტეხილის და მის უბე-კალთებზე დაფენილ სოფელთა ბედი სამუდამოდ გადასწყდა. ყაზახთა სტანიცების გაშენებამ სამსა და ოთხს წყებად ჩრდილოეთით და აღმოსავლეთ—დასავლეთით მთას სული შეუგუბა. საქართველოდანაც მთავრობამ დაღესტანს შემოავლო რკინის სალტა, რომელსაც სახელად უწოდეს სალექო კორდონის ლინია, ანუ ხაზი. ეს ლინია იწყებოდა ს. ახმეტასთან, მიდიოდა აქედან ს. ფშავლამდე, საცხენისზე, ყარათუბანზე, ლაგოდენზე, ბელაქანზე, ქარზე, ახალ ზაქათალაზე, მუხახზე და სხვა. ამ ლინი ს გამბით დაღესტანს ის მოუვიდა, რაც დაემართება ხოლმე ხაფანგში მომწყვდეულს თავს. რომ იტყვიან, სწორედ განძრვის თავი აღარა ჰქონდა დაღესტანს. მართალია, შამილის დროს სალექო კორდონის ლინიაზე სტანიცებს არა მართავდნენ, მაგრამ რაც მაშინ არ გაკეთებულა, დღესა კეთდება. ჯერ ისევ გალიცინის დროს ლაგოდენის რაიონში რამდენიმე ახალი სოფელი გააშენეს, სადაც დააბინავეს ომ ს მოყვარე ყაზახების მაგიერ მცირე რუსნი, ანუ ხახლები, და ზოგსაც ეხლა აკეთებენ.

ასე გავუღული და გათანგული მთა იძულებული შეიქმნა ყრონქში სწდომოდა რუსეთს და ან მოეშორებინა თავიდან რუსეთი და რუსობა, მაჯლაჯუნასავით რომ დააწვა მას და სულს უხუთავ-



და, ან დედა-ბუდიანად გაწყვეტილიყო, ამოვარ-  
დნილიყო და ალგვილიყო ამა ქვეყნისა პირისაგან.

სწორეთ ამ ისტორიულ პირობებში უნდა ვე-  
ძებოთ სათავე იმ სასტიკისა და უღმობელ სამღეთო  
ომისა, რომელიც გამოუცხადა რუსობას ჯერ ისევ  
დაღესტნის პირველ იმამმა კაზი—მოლამ. ასეთს  
ომს ეძახიან გაზავატს, ან წმიდა და სამღეთო ომს  
რუსების წინააღმდეგ.

სულ სამი იმამი ჰყავდა დაღესტანს: კაზი-მო-  
ლა, გამზად-ბეგი და შამილი. მართალია, პირველ-  
მაც და მეორემაც თავი შეაკლეს რუსებს და დიდი  
წინააღმდეგობა გაუწიეს გამარჯვებულ წინსვლას  
და ყაზახთა სტანიცების ბედნიერსა და კეთილ  
ცხოვრებას, მაგრამ სავესებით და თითქმის უნაკ-  
ლულად მარტო შამილმა მოახერხა განხორციე-  
ლება გაზავატის დედა-აზრისა. ოცდა ათის წლის  
ღვაწლი და მოქალაქობა შამილისა მარტო ის იყო,  
რომ მოემორებინა კისრიდან მარჯობელა საბელი,  
რადა მთას თავისუფლად ესუნთქვა და სხვის კლან-  
ქებში სული არამოხდენოდა.

თავის დროს შესაფერად შამილი სწავლულ  
კაცად ითვლებოდა. ძრიელ ეტანებოდა წიგნსა და  
საღვთისმეტყველო არაბულ მეცნიერებას. შამილზე  
ამბობდნენ, რომ განსწავლულია და მეცნიერი,  
როგორც აკუშას ყადიო. შამილი ოცდა ათი წლისა  
იყო, უკვე მეორე ცოლი ჰყვანდა, მაგრამ მაინც  
მთიელი სამი წელიწადი წიგნს თავს არ ანებებდა.  
რაკი ასეთი ბეჯითი იყო სწავლაში, უეჭველია ზედ  
მიწვენით შეითვისებდა შამილი იმ ცოდნას და მეც-  
ნიერებას, რაც კი რამ მოიპოვებოდა მაშინდელ  
დაღესტანში. იმ დროინდელ მეცნიერების შესი-  
სხლხორციებით და საოცარის ადმინისტრაციულის  
ნიჭით აიხსნება ის გარემოება, რომ შამილმა გა-  
ნიზრახა და სისრულეში მოიყვანა კიდევ მთისთვის  
დაწერილ კანონის მიცემა. მისის ბრძანებით მეც-  
ნიერმა ჰაჯი იუსუფამ დასწერა ძეგლის დება, სადაც  
გარკვეულია რა გვარისა და ზომისაა დიდის იმამის  
უფლებანი და იმამის მახლობელ თანამშრომელთა.  
დიდის ოსტატობით და თანდათანობით ჩაქსოვილია  
თურმე ძეგლის-დებაში აზრი და საჭიროება საად-  
მინისტრაციო ცენტრალიზმისა.

პირველი მასწავლებელი შამილისა ყოფილა  
კაზი-მოლა, სულ ოთხის წლით უფროსი შამილზე.  
ამან ასწავლა შამილს მეცნიერებასთან ერთათ სი-  
ძულვილი შემოსეულ მტრისა. ფიზიკურ ვარჯიშო-  
ბასაც ყურადღებას აქცევდა კაზი-მოლა და ისეთი  
ნიჭი გამოიჩინა შამილმა სიკაბუკეში, რომ ბევრის  
მნახველი და ბევრის მომქმედი მთიული განცვიფ-  
რებული რჩებოდა, შამილის ვაჟკაცობას რომ ხე-

დავდა. ოცის წლის შამილი თავისუფლად ახტე-  
ბოდა დიდ პირიან ხევეს და ფლორცევს.

ესაა დაახლოვებით შამილი, რომელმაც კინა-  
ლამ შესცავლა მეცხრამეტე საუკუნის ისტორია  
ამიერ-კავკასიისა, დროზედ რომ მხარი დაეჭირა  
ვისმეს. ვერც ოსმალეთი და ვერც სპარსეთი ქომაგად  
ვერ გამოდგნენ, ხოლო საქართველომ ცეცხლზე  
ნავთი დაუსხა.

მაშასადამე შამილს უნდა წაეგო საქმე და აკი  
წააგო კიდევც.

ა. ფრონელი.



### მიხმარე ფარად!

როს გაგირისხდეს ბედის ვარსკვლავი,  
ყოველმხრივ რისხვა თავს დაგეტეხოს  
და ქარტეხილმა, საჯოჯოხეთომ,  
უკუნეთ – ბნელში, შორს გადაგჩეხოს;  
როს ბრბო უვიცი შეუბრალებლად  
მახვილს გეტორცნიდეს, გტანჯავდეს მარად,  
გთხოვ, ნუ დამზოგავ... შენსა სანაცვლოდ  
ყველგან, ყოველთვის, მიხმარე ფარად!..

ი. გრიშაშვილი.



## ქართულ სამართლის ისტორია.

თავი II.

ქართულ სამართლის უმთავრესი ტერმინები.

ჩვენს თანამედროვე მწერლობაში ისეა ტერ-  
მინების ხმარება არეულ-დარეული, რომ, ვიდრე  
ქართულ სამართლის ისტორიის შესწავლას შევეუდ-  
გებოდეთ, ამ ტერმინების განმარტვა საჭიროდ მი-  
მაჩნია. აქ მხოლოდ უმთავრეს ტერმინებზე იქნება  
ლაპარაკი და ყველა დანარჩენი თავ-თავიანთ ადგი-  
ლას იქნება ახსნილი. იმას, რაც თვითეულს ერს  
კაცთა საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედება-  
დამოკიდებულებათა უზენაეს და ქეზმარტ გამსაზ-  
ღვრელ მცნებად მიაჩნია, იმას რასაც რომაული  
სამართალი „norma agendi“-ს, ხოლო გერმანული  
„das objektive Recht“, ფრანგები „droit positif“, რუსე-  
ბი „объективное право“-ს ეძახდნენ,—იმას ქართუ-



ლად „სამართალი“ ჰქვიან (ცა გვიჩვენებს ხედავს გვ. ლბ; ბაგრატი კურაპალატის სასამართლო წიგნი). ეს სიტყვა „მართლისაგან“ არის წარმომდგარი, რაც თავდაპირველად „სწორეს“ ნიშნავდა; ამისდა მიხედვით „სამართალი“-ც სისწორეს აღნიშნავს და ამ მხრივაც ფრანგულს droit-ს, რომელიც ლათინურ directum (=სწორეს)ისაგან არის წარმომდგარი, და გერმანულს „Recht“-ს უდრის. უძველეს დროს „სამართალს“-საც სწორეს მნიშვნელობა ჰქონდა, მაგ. იოანეს სახარებაში ნათქვამია: „ნუ თუალხუმიით შჯით, არამედ **საშუველი სამართალი** საჯეთო“ (ცა გვ. ლხედავს გვ. ლბ); გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიაც სწერია: „**სამართალ** არს სიტყუაჲ შენი“, „**სამართალ** იყო სიტყუსგებაჲ იგი“-ო (გვ. ლ, მე), ესე იგი — „შენი სიტყვა **სწორეა**, კამათი სწორე იყო; დავით აღმაშენებელის ისტორიკოსიც იმ აზრის გამოსათქმელად, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ყოველგვარი შეცდომა და კანონის შელახვა გაასწორა, შემდეგ წინადადებასა ხმარობს: „ყოველი ცთომილი **განმართვეს**“-ო (მძღვ. ს. ქცა 291). იმავე მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც „სამართალსა“ ჰქონდა, ძველ ქართულს მწერლობაში სიტყვა „**სჯული**“ ანუ „**შჯული**“-ც იხმარებოდა (ძველი და ახალი აღთქმის წიგნები; ცა გვ. ლხედავს გვ. მგ, მთ; ძველის წერა, ქრ. კბ II, 61); ეს სიტყვა ზმნა „სჯა“-საგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ძველ ქართულს მწერლობაში „**სჯულს**“ მაინც **განსაკუთრებით სარწმუნოებრივი, საეკლესიო ელფერი ელა** და ამიტომ მინისაგან „სამართალი“ განსხვავდებოდა.

ის, რასაც რომაულს სამართალში facultas agendi, გერმანულად das subjektive Recht, რუსულად право въ субъективномъ смыслѣ ერქვა, ქართულად „**უფლება**“ ეწოდებოდა (ყველგან ძველს ნაწერებში, დაბადებისა და სახარების თარგმანშიაც).

სამართალი ან ერის საზოგადოებრივ ცხოვრებით შექმნილი ჩვეულება და წესია, ან სახელმწიფოს მთავრობისა და კანონმდებელ კრების გაჩენილია ხოლმე. უძველეს ხანაში რასაკვირველია სამართალი და ერის ზნე-ჩვეულება ერთი და იგივე იყო; შემდეგ, როცა კაცობრიობა განვითარდა და წარმატებული მოქალაქობრივი ცხოვრება შექმნა, გაშინ სამართალი ზნე-ჩვეულებას დაშორდა, დაწინაურდა და კანონმდებელ სამართალად გადაქცა. რაკი იმ ხანაში, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, კანონებს საქართველოში ჩვეულებრივ მეფის-მიერ მოწვეული სამღვდლოებისა, მაღალწოდებისა და მოხელეობის წარმომადგენელთა და

„საბჭოთა საქმეთა მეცნიერთა“ კრება ადგენდა ხოლმე, ამიტომ სამართალს იმ დროს „**გაჩენილი**“ სამართალი ერქვა (ბაგრატი კურაპალატის სასამართლო წიგნი), ანუ „**განაჩენი**“ (გიორგი V-ს ძველის დადება, შესავალი). კანონმდებელი კრება სასამართლო წიგნს ადგენდა ხოლმე, თუ ეს იყო მისი ბჭობისა და შრომის ნაყოფი და ნაშთი, და ამის გამო ამისთანა კრებულის ნაღვაწსა და დადებულს „**ძველი**“ ეწოდებოდა ხოლმე. მაგალითად, ეფთვიმე მთაწმინდელი მე-VI-ე მსოფლიო კრების კანონების ქართულ თარგმანის შესავალში ამბობს წევრებმა „**აღწერილი** იგი მართლისა სარწმუნოებისა **ძველი** და საეკლესიონი იგი კანონნი წინაშე ღთის-მსახურისა კონსტანტინე მეფისა წარიკითხეს“-ო (იხ. Древности восточн. труды вост. ком. москов. археол. общ. Т. 2, вост. III, 1903 წ., გვ. 78). რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შედგენილი კანონებიც ხომ „**ძველის წერად**“ იწოდება თვით დედანში; გიორგი მე-V-ე ბრწყინვალის სამართლის წიგნსაც „**ძველის დადება**“ ჰქვიან და მეფის სიტყვიდანა სჩანს, რომ სამართალი შეიძლებოდა გაჩენილიყო „**ძველითა, განაჩენითა და დადებითა**“ (ძველის დადება, შესავალი); კანონმდებელ კრების განაჩენი, რომელიც კრების „ძველად“ უნდა ჩათვლილიყო, სამეფოს სამართლად მიეცემოდა, „**დაედებოდა**“; აკი გიორგი ბრწყინვალის მიერ მოწვეულის კანონმდებელ კრების შედგენილს სასამართლო წიგნს იმიტომაც ჰქვიან „**ძველის დადება**“.

სამართლის აღსანიშნავად იხმარებოდა ძველმწერლობაში და ესლაც შერჩენილა სიტყვა „**კანონ**“. გრიგოლ ხანძთელი რომ გუარამ მამფალს შეება და წინააღმდეგობა გაუწია საეკლესიო საქმეებში ნუ ერევიო, მოაგონა, რომ „წმიდათა **მოციქულთა** და ღირსთა მათ **მღვდელთ-მოძღუართაგან განსაზღვრებულსა კანონსა** შინა არავე ბრძანებულარს ერის კაცისაჲ, ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა წინამძღუართა მამათა განსაგებელისა შჯულის მოძღურებასა იკადრებდა“-ო (ცა არ. ლხედავს გვ. მზ). თავდაპირველად სიტყვა „**კანონი**“ ქართულში სასამართლო წიგნის თვითოველს **მუხლსა** ნიშნავდა; გუარამ მამფალი, მაგალითად, სამღვდლო კრებას ეუბნებოდა: „წმინდანო მამანო ეპისკოპოსნო და მეუღაბნოენო, იცით ყოველთა **კანონი შჯულისა**ჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძღაგრებით დაჯდომასაო (იქ. მე); „**ძველის წერა**“-შიაც ნათქვამია: „ქმნილ იყვნეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი: პირველი ანკრიას, რომელსა დაესხნეს **კანონნი ოცდა-ოთხნი**,

მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი **კანონთა ათოთმეტთა**, ხოლო შემდგომად... ღანვრისაჲ, რომლისა **კანონნი არიან ოც** და კუალად ანტიოქიისაჲ, დამსხმელი **კანონთა ოცდა-ხუთთა**, ამათათანა ლაუდიკიისაჲ ფრიგისაჲ და **კანონნი** მისნი **ოცდა-ერთნი**; ამისა შემდგომად მეორე წმიდაჲ და მსოფლიოჲ კრებაჲ კონსტანტინეპოლისა ასერგასისთა წმიდათა მამათაჲ, რომელთა **კანონნი არიან ოცხუთი** შპდ“.. (ქნკბი, II, 59). ყველა ამ შემთხვევებში სიტყვა „**კანონი**“, როგორც ეს განსაკუთრებით ნათლად უკანასკნელ წინადადებიდანა სჩანს („**კანონნი** რიცხვით შპდ“), **სასამართლო ძველის მუხლსა ნიშნავს**, სულ ერთია საერო იყო, თუ სასულიერო ეს სამართლის წიგნი, საიდანაც მუხლია ამოღებული; ეს იქიდანა სჩანს, რომ რუსის-ურბისის „ძველის წერა“-ში ნათქვამია „**კანონნი** საეკლესიონი“-ო (ქრონიკები II, 58), — „**კანონი**“ რომ **მარტო** სასულიერო სასამართლოს წიგნის მუხლს ნიშნავდეს მაშინ უეჭველია სიტყვა „**საეკლესიონი**“ დამატებული არ იქნებოდა. რაკი თვითოეულ ამგვარ მუხლში დანაშაულობისათვის განსაზღვრული სასჯელია აღნიშნული, ამიტომ ქართულად სიტყვას „**კანონი**“ **სასჯელის მნიშვნელობაც** მიეცა და ზოგჯერ ბერძნულს „**ეპიტიმია**“—სასჯელს უდრიდა ხოლმე, მაგალითად: მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ქართულ თარგმანში, რომელიც ეფთვიმე მთაწმინდელს ეკუთვნის, შგ მუხლში ნათქვამია: „**მონაზონი** უკეთუ სიძვითა დაეცეს და მონაზონებისა ოდენ კურთხევა აქუნდეს, **სიძვისა კანონი** აღასრულოს“-ო (იგ. Древн. вост. Т. 2, вост. III, გვ. 109); ბერძნულ დედანში, შ მდ ნათქვამია: „**ტოჲს ტონ პორნეუონ ტონ ეპიტიმოის...** კანობლიფეფხეტაჲ“; (იხ. ამგვარივე შემთხვევა იმავე ძველში მუხ. შგ, ibid. გვ. 110—ბერძნულ დედანს შ მე), იმავე თარგმანში მუხ. ოზ ნათქვამია: „**რლნი** მისცემენ დედათა წამალსა, შვილის მკვლელსა საშოსა შინა... **კაცის კალისა კანონსა** ქვეშე არიან“-ო (ibid გვ. 124), ხოლო ბერძნულ დედანში შ მა, სწერია „**ტას ტა** ამბლოთრიდია დიდუზას... ფარმაკა ტო ტუ ფონეოს ეპიტიმო კათკობალომენ“. ამისდა მიხედვით ჩვენ ძველ მწერლობაში ზმნას „**განკანონება**“-ს ხშირად „**დასჯა**“-ს მაგირა ხმარობდნენ; „**განკანონება**“-ს ისეთს დასჯას ეძახდნენ, რომელიც სამართლის შესაფერისს კანონზე იყო დამყარებული. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, მაგალითად, რომ ათონის ქართველთა მონასტერში „**ეფთვიმე** უკეთუ ვინმე არა მოვიდის დაწესებულთა

ზედა ცისკრისასა, **განკანონის** ჯეროვნად, **ვითარცა განწესა** მამასა“-ო (იე და ეშეს ცა, 36); შემდეგ იგივე ავტორი გვიამბობს, რომ ეფთვიმეს „**უკუეთუ** ტყუელით რაიმე მოახსენიან, **მძიმედ კანკანონის** და მის მიზეზისათვის მრავალნი ძმანი მონასტრისაგან გაასხნა“-ო (ibid 42), ხოლო როცა იგი ეკლესიაში წირვის დროს მძინარე მონაზონს შეამჩნევდა, აფრთხილებდა თურმე: „**აქა** ნუ დაიძინებ, თუ არა **მძიმედ გაგკანონებ**-ო (ibid 49).

მაგრამ „**კანონი**“ მარტო სასამართლო წიგნის ერთერთ მუხლს-კი არა ნიშნავდა, არამედ თვით იმ **კანონების კრებულს**, თვით **სასამართლო წიგნსა**, ან ძველს სადაც კანონები მოიპოვება, მაგალითად: იოანე მმარხველის სამართლის წიგნს ქართულად ჰქვიან „**რჯულის კანონი** წმიდისა იოანე მმარხველისაჲ“ (ibid 29); ცნობილს საეკლესიო სასამართლო კრებულსაც „**მჯულის კანონი**“ ეწოდება.

ქართული „**კანონი**“ ბერძნულ „**კანონ**“-იდან არის წარმომდგარი. ბერძნულში-კი ეს სიტყვა შემოხიზნულია ძველის-ძველ დროსვე, უკვე ჰომიროსის წინად, ერთ-ერთს სემურ ენიდან (Ph. Zahn. Grundriss d. Geschichte. neust. Kanons, 1901 წ., გვ. 2), სადაც იგი ლერწამსა ნიშნავდა, ლელის მუხლგბს. ბერძნულად „**კანონ**“-ს თავდაპირველად ხუროს ერთს ხის იარაღს ეძახდნენ, რომელსაც ოსტატები მუშაობის დროს თარაზოს მაგიერ სისწორეს გასაგებად ხმარობდნენ ხოლმე (ibid 2); შემდეგ სამართლის წიგნებსაც „**კანონ**“-ს ეძახდნენ, იმიტომ რომ იგი სათნოებისა და ბოროტმოქმედების საზომად ითვლებოდა (ibid 4); მე-II-ე საუკუნის ნახევრიდან მოყოლებული „**კანონი** სარწმუნოებისა“ (ო კანონ ტეს პისტეოს) იმ მცნებასა და წესსა ჰნიშნავდა, რომელიც ყველა მაშინდელ საქრისტიანო ეკლესიაში მიღებული იყო, ხოლო მსოფლიო კრებების შემოღების შემდგომ „**კანონ**“ ს მსოფლიო და ადგილობრივ კრებების გადაწყვეტილებას ეძახდნენ, სადაც განსაზღვრული იყო „**მართალი სარწმუნოება**“, საეკლესიო წეს-წყობილება და ის სასჯელი, რომელიც უნდა გადაეხადნა სამღვდელოებასა, წესიერებისა და სინილისის წინაშე (ibid 5).

**ი. ჯავახიშვილი.**

(შემდეგი იქნება.)

რედაქტორ-გამომცემელი **სვ. ყიფიანი.**